140
961

140
43

პიონერი

1
1961

საქართველოს სსრ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლინოგრავიურა.

მხატვარი ო. მანოხინი

სწავლა,
სწავლა და
სწავლა!

ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცი ზამთრის არდადეგებზე

მურმან ლებანიძე

თუ მოაფრინე შინ
„ოთხი“ და „ხუთი“ მრავლად,
თუ სამიანებს „ორი“
არც გაურიე წამლად —
დიდებულია მაშინ
არდადეგები ზამთრის:
თოვს, დიდის ამბით თოვს,
მღერის თოვლი და ბარდნის.

და თუ სამოცი წლიდან
სამოცდაერთის მგზავრად
დაგეგვა წეული ტვირთი —
ზრუნვად, წუხილად, ჯავრად,
ჰო, რა მწუხარედ თოვს,
ბუზღუნებს თოვლი ცაში —
რა ემღერება თოვლს!
რა გეთოვლება მაშინ!

ჩვენ კი ხალისით გვავსებს
არდადეგები ზამთრის.
ბებო გადაგვთვლის ბავშვებს,
ახლა ჩურჩხელებს დათვლის,
ჩაგითბუნებით თბილად,
დღეა ოცნების, ნატვრის...
თოვს, ხვავრიელად თოვს —
ახალწლის მერე ბარდნის!

ხოლო საღამო ხანად —
ისევ ბუხარი შიგნით!
ან ჭადრაკი და სატვა,
ან საუკარელი წიგნი!
მესამე მეოთხედი...
სასწავლო წელი მიჰქრის...
და კვლავ ოცნება სკოლის!
და კვლავ სწავლაზე ფიქრი!

თუ მოაფრინე შინ
„ოთხი“ და „ხუთი“ მრავლად,
თუ სამიანებს „ორი“
არც გირევია წამლად —
დიდებულია მაშინ
არდადეგები ზამთრის:
თოვს, დიდის ამბით თოვს,
მღერის თოვლი და ბარდნის.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოარ
პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი; რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი XXXV

პიონერი 1 1961

ლუმელი კვაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ნახ. **ზ. ლეჟავახი**

მოთხრობა

დღეს უკვე ველარ მომიგონებია—ათას ცხრაას ორმოცდაექვსი წლის ბოლო რიცხვები იყო, თუ ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი წლის დასაწყისი. ის კი კარგად მახსოვს, რომ კვირა დღე იყო. მე მაშინ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, სტუდენტთა ქალაქში ვცხოვრობდი და, რადგან თბილისში ჯერ ისევ სასურსათო ბარათებით იძლეოდნენ პურსა და სხვა საჭმელებს, ყოველ კვირა დღეს ფიცრის ერთი ყვითელი ჩემოდნით სიმინდის ფქვილს, ლობიოს, ხილს და ასეთ რამეებს ვეზიდებოდი სოფლიდან. თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ—განა იმდენს რას ჭამდი, რომ ყოველ კვირა ეზიდებოდიო! წარმოიდგინეთ რომ, გიახლებოდით. ომიანობისა და იმის მომდევნო წლებში ყველას საოცრად კარგი მადა გვქონდა. ერთხელ, მაგალითად, ერთი მთელი ფურნის პური ჩამივარდა ხელში, ცხელი ფურნის პური, რა თქმა უნდა, შავი ფურნის პური, რომელიც, სულ ცოტა, ორი კილოგრამი მაინც იქნებოდა. დავჯექი და, როგორ გგონიათ, რამდენს დავტოვებდი ვახშმისათვის? ნამცეციც კი არ დამიტოვებია. აი, ასეთი მადა გვქონდა მაშინ! თუმცა ამას არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რაც მე უნდა გიამბოთ!

კარგად ის მახსოვს-მეთქი, რომ კვირა დღე იყო, ისიც მახსოვს, რომ დიდი თოვლი იყო და ჩემი სოფლიდან სადგურამდე რვა თუ ცხრა კილომეტრი უნდა გამევლო. ახლა სულ სხვაა. ახლა ცხრა კილომეტრს ვიღა გაივლის ფეხით, როცა ამდენი მანქანებია! მაშინ კი ყველა გადიოდა—ქალიც და კაციც, ბებერიცა და ახალგაზრდაც. მე ახალგაზრდა ვიყავი და, მიუხედავად იმისა, რომ თოვლი თითქმის მუხლამდე მწვდებოდა და მხარზე ის ფიცრის ორფუთიანი ყვითელი ჩემოდანი მქონდა შედგმული, მაინც ყოჩაღად მივაბიჯებდი.

ჩემი სოფლიდან სადგურამდე ასეთი გზაა: ჯერ ჩვენი ვენახების ორღობეებს უნდა ჩაჰყვე, მერე ველში გახვიდე, სადაც რამდენიმე გრძელი თეთრი სახლი დგას მეცხოველეობის მეურნეობისა, მერე შიგ ბებრიჭალაში შეხვალ და, ამ უშნოდ დაგრძელებულ სოფელსაც რომ გაივლი, სადგურიც გამოჩნდება ერთ კილომეტრზე, დგას ტრიალ მინდორში მარტოდ-მარტო, თეთრად არის შეღებილი და თუნუქის წითელი სახურავი ჰხურავს!.. თუმცა ჩვენ არც სადგური გვჭირდება ამჟამად.

ფიცრის ორფუთიანი ყვითელი ჩემოდანი მხარზე მაქვს შედგმული, შარვლის ტოტები წინდებში მაქვს ჩატანებული და უკვალავ თოვლში—შლაპ-შლუპ, შლაპ-შლუპ—მივდივარ და მივაბუქებ. ჰაერი სუფთაა, სუფთა, სუფთა, როგორც ეს მხოლოდ თოვლში იცის ხოლმე. ნისლია ჩამოწოლილი, სკვინჩა ჩიტი თუ წამოიძახებს სადღაც: სკვინჩ-სკვინჩო, სიწყნარეა.

ის იყო ველში გავედი და თეთრ სახლებს გავუპირდაპირდი, რომ ვხედავ, იმ სახლების მხრიდან, თავდაღმართზე ვიღაც ეშვება. პატარაა ვიღაც. მე გამიკვირდა, ეს რა უცნაური ვიღაცაა-მეთქი, გავჩერდი და ცდა დავიწყე—ერთი ახლოდან ვნახოთ ვინ არის-მეთქი. ვინ აღმოჩნდა იცით?—იური კოლპაკოვი. არა, ამაოდ ეძებთ გამოჩენილ ადამიანთა რიგში ამ სახელს! იური კოლპაკოვი თერთმეტი წლის ბიჭი იყო, თექის ჩექმები და მოკლე შავი პალტო ეცვა, კურდღლის ტყავის თბილი ქუდი ეხურა, ზურგზე წიგნების ჩანთა ჰქონდა წამოკიდებული და ოდნავ ზეაპრეხილი ცხვირი სიცივისაგან გასწითლებოდა. მომიახლოვდა პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, შემომყურებს და ეცინება. „რას იცინი-მეთქი, შე პატარა მაიმუნო“. „თქვენ რა, ბერი ხართო?“

ამ სიტყვებზე, ცოტა არ იყოს, დამცხა და ალბათ წამოვწითლდი კიდეც.

საქმე ისაა, რომ მე მაშინ უკვე ლექსებს ვწერდი, თავი პოეტი მეგონა და, არ ვიცი საიდან მქონდა ასეთი წარმოდგენა, რაკი პოეტი ვარ და სხვა არ არის პოეტი, რაღაცით ხომ უნდა განვსხვავდებოდე-მეთქი სხვებისაგან, და აი, ამის გამო თმა თითქმის მხრებამდე მქონდა ჩამოზრდილი, ერთი რაღაც გრძელი შავი პალტო მეცვა, თბილისშიაც კი თუშური ნაბდის ქუდი მეხურა და მართლაც ბერს ვგავდი. თერთმეტი წლის იურის ალბათ სურათში ენახა ბერი, ან გაეგონა სადმე დიდებისაგან, და აი, დამინახა თუ არა, გაეხარდა და იმ წუთშივე მკითხა – მართლა ბერი ვიყავი, თუ არა, ცოცხალი ბერი!.. მე, რა თქმა უნდა, პირველ დარცხვენას მალე ვძლიე, უდარდელი გამომეტყველება მივიღე და მივუგე, რომ ბერი კი არა, გიორგი სააკაძე ვარ-მეთქი. მაგრამ, როგორ გგონიათ, მოვატყუებდი თერთმეტი წლის იურის?

— გიორგი სააკაძე მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა და თურქეთში მოჰკლესო.

ორივემ გავიცინეთ. გავჩერდი, განსწავლულ ყმაწვილთან მქონდა საქმე და ასეთი ხუმრობები არ გამომადგებოდა. მაშინ სერიოზულად ვკითხე—რომელ კლასში იყო და ახლა სად მიდიოდა.

— მეხუთეში ვარ, ბებრიჭალაში ვსწავლობ და ეხლა სკოლაში მივდივარო,

ეს რომ თქვა, კიდევ ავხედ-დავხედე: ბებრიჭალამდე სამ კილომეტრზე მეტი იყო. შესძლებდა თუ არა ამ მანძილის გავლას ასეთ თოვლში?! ავხედ-დავხედე და დავრწმუნდი, რომ შესძლებდა. ისე ყოჩაღად მოაბიჯებდა და მოაბუქებდა თოვლს, ისეთი ცოცხალი თვალები და ფხიზელი ხეაპრეხილი ცხვირი ჰქონდა, რომ უეჭველად შესძლებდა. მერე ერთხელ გავლას კი არა—გასვლას, გამოსვლას, გასვლას, გამოსვლას და კიდევ ვინ იცის რას აღარა.

მივდივართ თოვლში, მივაბიჯებთ ბებრიჭალელების ვენახების ორღობეებში და ხან ის მეკითხება, ხან—მე.

— თქვენ ჭყანტელი ხართ?—მეკითხება ის.

ჭყანტელი ვარ-მეთქი.

— რას ნიშნავს ჭყანტე ქართულად?

ავუხსენი რასაც ნიშნავდა.

— მერე, რატომ ჰქვია თქვენს სოფელს ჭყანტე?

— შენ სად დაიბადე?—შევუბრუნე კითხვა.

— გომელში.

— რატომ ჰქვია თქვენს ქალაქს გომელი?

შემომხედა და გაეცინა.

— ეგ ვიცი.

როგორც კი ეს სთქვა, იმ წამშივე მივხდი, რომ ის ისეთი ბიჭი იყო, ნამდვილად ეცოდინებოდა რატომ ერქვა მათს ქალაქს გომელი, და მე ჩემი დავიწყე.

— თუ კი ასეა, მეც ვიცი ალბათ! ჩემი სოფლის ადგილას უწინ ჭყანტე იყო და ამის გამო დაერქვა ჭყანტე.

ამით სწრაფად შევთანხმდით, რომ ადამიანები ტყუილუბრალოდ არაფერს არ არქმევენ სახელს და ისევ უდრტვინველად განვაგრძეთ ჩვენი ეზა. ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, ახლა მე ვკითხე:

— რომელი საგანი გიყვარს ყველაზე მეტად?

— გრამატიკა. გრამატიკა და მუსიკა. თუმცა მუსიკას არ გვასწავლიან, სიმღერას. მაგრამ სიმღერის გაკვეთილი ან გვიცდება, ან არა და—დამრიგებელი საუბარს ჩაგვიტარებს ხოლმე.

იური კოლპაკოვი თერთმეტი წლის ბიჭი იყო. თექის ჩექმები და მოკლე შავი პალტო ეცვა. ზურგზე ჩანთა ჰქონდა წამოკიდებული.

— მუსიკა და რომელი?—ვკითხე დაეჭვებულმა.

— გრამატიკა.

მე ისევ ავხედ-დავხედე. ჩემკენ აღარ იყურებოდა, მაგრამ ისევ ყოჩაღად მოდიოდა, ისევ ყოჩაღად მოაბუქებდა თოვლს. დაუჯერებელ რამეს კი მეუბნებოდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ადამიანს, პირველად მესმოდა, რომ ვინმეს გრამატიკა ემჯობინებინა. ვთქვათ, ბუნებისმეტყველებისათვის, არითმეტიკისათვის, ან ლიტერატურისათვის. თვითონ მე ორი რამე მეჯავრებოდა ბავშვობაში—თევზის ქონი და გრამატიკა. და აი, ძმაო, მოდის ჩემს გვერდით ყოჩაღი თერთმეტი წლის ბიჭი და ვითომც არაფერი – გრამატიკა უყვარს!

ეს იმ წუთშივე მივახალე. ჩემს სიცოცხლეში პირველი შენა ხარ, რომელსაც გრამატიკა უყვარს-მეთქი.

— იცით რა?—დაიწყო რაღაც სხვა ხმით,—მე დედა მყავდა... დედა და უფროსი ძმა, ბორისი.

— მერე?

— დედა მასწავლებელი იყო. გრამატიკის მასწავლებელი, არა, გრამატიკისა კი არა, რუსული ენის მასწავლებელი, მაგრამ გრამატიკა უყვარდა. ჩემს ძმას კი ეჯავრებოდა. მერე დედა ასწავლიდა თვითონ. ხომ არის ხოლმე ასე, რომ თვითონ დედები ასწავლიან. სულ „ორი“, თვითონ დედა ასწავლიდა და, ჰაი-ჰაი „სამი!“

იური ნელ-ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სიტყვების ყლაპვით ლაპარაკობდა.

— მერე?—ველარ ვითმენდი მე.

— მერე დედა ჩვენი ქალაქის დაბომბვის დროს და იღუპა. ძმა... ძმაც დაიღუპა... გრამატიკას რომ ვსწავლობ, სულ დედაჩემის ხმა მესმის, სულ დედაჩემისა და ჩემი ძმის ხმა—დედა რომ ამეორებინებდა ხოლმე ბორისს: ზედსართავი სახელი ეწოდება, ზმნა ეწოდება... და ასეთები. წიგნსაც თითქოს დედაჩემის სუნი აქვს, მისი ხელების სუნი, მისი მაგიდის სუნი...

ამ სიტყვების შემდეგ მთელი კილომეტრი ხმის ამოუღებლად მივდიოდით. ერთი გაფიქრება გავიფიქრე—მოდი იმასაც ვკითხავ, მუსიკა რაღად გიყვარს-მეთქი. მაგრამ იმ წამშივე რაღაც შიშმა ამიტანა—ვაი თუ ამ კითხვაზე კიდევ უფრო გულდასაწყვეტი პასუხი მოეცა! და ისევ უხმოდ განვაგრძე გზა. რატომღაც მისკენ გახედვისაც კი მერიდებოდა.

ბებრიჭალაში რომ შევედით, ხალხში რომ გავერიეთ, მაშინ ძლივს ვკითხე: აქ, საქართველოში რაგორ მოხვედი და ახლა ვისთან იყო.

— მამასთან. მამა აქ მუშაობს, მეურნეობაში. მე და მამა ვართ. მამა მეურნეობის ბუღალტერია.

ცოტა ხანში ვიღაც ბიჭები წამოგვეწივნენ და დაუძახეს—იურაო. მაგრამ იურიმ მარტო ხელისაწევით მისცა სალამი და ჩემთვის თავი არ დაუნებებია.

სკოლა გზის პირას იყო. სკოლასთანაც მივედით. იძულებული ვიყავით, უნდა ერთმანეთს დავშორებოდით. მე ეს არ მინდოდა. ეტყობოდა, არც იურის უნდოდა. მაშინ ჯიბეში სენკევიჩის მოთხრობები მედო, „იანკო მუსიკოსი“ და სხვა კარგი მოთხრობები. ამოვიღე და მივეცი. ეს ჩვენი შეხვედრის მოსაგონებლად გქონდეს-მეთქი, წავუწერე კიდეც ასე. თანაც შევპირდით, თუკი საშუალება მოგვეცემოდა, აუცილებლად გვენახა ერთმანეთი... მაგრამ მას შემდეგ მთელი თოთხმეტი წელიწადი გავიდა და აღარსად შევხვედრივარ. ეტყობა, მამამისი იმ მეურნეობიდან მალე სხვაგან გადაიყვანეს, იურიც თან წაიყვანა და ეს შეხვედრა ტკბილ მოგონებად-ღა დამრჩა. გამახსენდება ის თოვლიანი კარგი დღე, ჩემი ყვითელი ჩემოდანი, გრძელი თმა, გრძელი შავი პალტო, გამახსენდება, როგორი გამომეტყველებით მეკითხებოდა იური, ბერი ხარო თუ არა. დავიწყებ მხიარულ კილოზე ამ ამბის მოყოლას და, როცა იქამდე მივალ, თუ რატომ უყვარდა იურის გრამატიკა, აქ ვგრძნობ, რომ რაღაცას ვაფუჭებ, რაღაცას ისე ვერ ვამბობ, როგორც მაშინ იყო თქმული. მეგობრებიც ხვდებიან ამას და მეუბნებიან, ეგ ამბავი დაწერე, მოყოლით შენ კარგად ვერ ყვებიო. ბევრჯერ დავაპირე და ეხლა ძლივს-ძლივობით მოვახერხე დაწერა. მაგრამ აი, თავიდან გადავიკითხე ჩემი ჩანაწერი და ისევ ვიგრძენი, რომ რაღაც გავაფუჭე, რაღაც ისე ვერ დავწერე, როგორც მაშინ იყო თქმული. მაინც თავს ვინუგეშებ, რომ გამგები ადამიანიც გაიგებს იმდენ რამეს, რაც ადამიანის შესაყვარებლად კმარა. მე კი მეტიც არ მინდა. თუ თქვენ იური და იურის მსგავსი ადამიანები გეყვარებათ, მე მეტი არაფერი არ მინდა. ამისათვის ვყვები ხოლმე ამ ამბავს მეგობრებთან, ამისათვის ვწერ ახლაც.



პუშკინიზმელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მე-10 საშუალო სკოლა. მეექვსე მეორე კლასში რუსული ენის გაკვეთილი მიმდინარეობს. დაფასთან დგას ჯმუხი ტანის, შავგვრემანი ყმაწვილი. იგი დინჯად ყვება დიდი რუსი მწერლის — ა. ს. პუშკინის ბავშვობის წლებზე, ჰყვება თუ რარიგ აღფრთოვანდა პოეტი დერჟავინი, როცა 12 წლის პუშკინმა მას საკუთარი ლექსი წაუკითხა. მთელი კლასი სმენადაძაბული მისდევს მის ყოველ სიტყვას.

— აბა, ახლა აიღე რომელიმე წინადადება დღევანდელ გაკვეთილიდან და გაარჩიე, — ეუბნება მასწავლებელი.

ყმაწვილი დაფაზე უშეცდომოდ წერს საკმაოდ გრძელ წინადადებას და იწყებს მის მორფოლოგიურ გარჩევას. მხოლოდ ერთი-ორჯერ წაიბორძიკებს, სიტყვის ბრუნების დროს. მოსწავლეები აღტაცებით უცქერიან თავიანთ ამხანაგს.

— ყოჩაღ, შოთა! მე დღეს შენით კმაყოფილი ვარ. მომაწოდე დღიური, — ეუბნება მასწავლებელი და დღიურში ნიშანს წერს.



შოთა ჩიხლაძემ დღესაც კარგად მოამზადა გაკვეთილი რუსულ ენაში.

ბავშვები სიხარულს ვერ მალავენ. «ოთხიანი მიიღო, ოთხიანი», — თვალებგაბრწყინებულნი გადაუჩურჩულებენ ერთმანეთს.

ასეთივე ამბავი განმეორდა მომდევნო გაკვეთილზე. არითმეტიკის მასწავლებელმაც «ოთხზე» შეაფასა შოთას ცოდნა და თანაც შეაქო. აუწერელი იყო მთელი კლასის სიხარული.

მაგრამ, რატომ მაინცადამაინც შოთას ოთხიანებმა გაახარა ამხანაგები, როცა ნინო ქსოვრელის, მერაბ კალანდაძის, ცირა ასლანიშვილისა და სხვათა მიერ მიღებულ ხუთიანებს ჩვეულებრივი იერითა და დუმილით შეხვდნენ?

შოთას ამბავი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

... სასწავლო წლის პირველი დღე იყო. ზარი დაირეკა და მეექვსე მეორე კლასელებმაც თავიანთ მერხებს მიაშურეს. იწყებოდა გაკვეთილი, რომელსაც თვით კლასის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა მასწავლებელი მერი გაჩეჩილაძე ატარებდა. ის იყო, მასწავლებელი მოსწავლეთა სიის ამოკითხვას შეუდგა, რომ უეცრად, ვიღაცამ კარები ფეხის კვრით შემოაღო. კარებში 14-15 წლის, თმაგაჩეჩილი, საკინძგაღეღილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, შავტუხა ყმაწვილი იდგა.

— ეს მეექვსე მეორე კლასია?—იკითხა მან ადგილებული კიბოოთი და მასწავლებელს გამომწვევად მიაჩერდა.

— დიახ, ეს მეექვსე მეორე კლასია,—მიუგო უცნობი მოსწავლის ამ უჩვეულო ფოურიდებლობით შეშცბარმა მასწავლებელმა.

— ჰოო? ძალიან კარგი. მაშ მეც აქა ვარ!— დამცინავად ჩაიღიმა შემოსულმა და უკანა მერხისაკენ გასწია.

— დაიცა, — შეაჩერა იგი მასწავლებელმა,—ჯერ ხომ არ ვიცით, ვინა ხარ, რა გქვია, რა გვარისა ხარ.

— ჩიხლაძე ვარ, შოთა... ჰოდა, დავჯდე თუ არა?

«აი, ვინ ყოფილა შოთა ჩიხლაძე! —გაიფიქრა მასწავლებელმა. — ჩემი სადამრიგებლო კლასის ახალი მოსწავლე, ორწლიანი, «ყოვლად გამოუსწორებელი», როგორც გადმომცეს. მართლაც «მაგარი მასალა» ჩანს. მით უკეთესი!» - და კლასის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა ამ წუთიდანვე შესდგომოდა საქმეს. იგი მიუახლოვდა შოთას, აჩეჩილი თმები თითებით შეუსწორა და დაყვავებით უთხრა:

— მერე, შე კაი კაცო, რომ მოდიხარ თავაღებული, იცი კი რომელ მერხზე უნდა დაჯდე? აქ უკვე ყველას აქვს საკუთარი მერხი. წინა გაკვეთილზე რატომ არ იყავი?

— დამაგვიანდა.

— პიონერის ყელსახვევი რატომ არ გიკეთია?

— შინ დამრჩა.

— აბა, სად გინახავს მოსწავლე ასე გულგაღეღილი, უყელსახვევოდ მოდიოდეს სკოლაში? — მასწავლებელმა თავის ხელით შეუბნია შოთას საკინძეზე ღილები. უკანასკნელი ღილის შებნევა არ დაანება დამორცხვებულმა ბიჭმა: — ამას მე თვითონ... მასწავლებელო...

— აი, აქ დაჯდები, თემურის გვერდით, საუკეთესო მოსწავლეა. იმედი მაქვს, მალე დამეგობრდებით.

იხტიბარგატეხილი შოთა დაჯდა პირველ მერხზე, მასწავლებლის პირდაპირ. მთელი გაკვეთილის მანძილზე არც კი განძრეულა.

პირველ ხანებში თავის დროზე მოდიოდა სკოლაში. მართალია, გაკვეთილებს წინანდებურადვე არ ამზადებდა, მაგრამ შედარებით უფრო თვინიერი და გამგონე გახდა. კლასის ხელმძღვანელს თანდათან მეტი იმედი ეძლეოდა.

ურალელ თანატოლებს მეგობრულ ბარათს სწერენ თბილისელი პიონერები.

მეექვსეკლასელები ფიზიკას პირველად სწავლობენ. თურმე რაოდენ საინტერესო ყოფილა ეს ხაკანი!

მაგრამ, მოულოდნელად, კლასის ხელმძღვანელი სამიოდე დღით შეუძლოდ გახდა და სკოლაში ვერ მოვიდა. ხოლო როცა გამომჯობინდა, მეტად გულსატკენი ამბავი დახვდა: შოთა ერთ-ერთ მასწავლებელს უხეშად შეესიტყვა, გაკვეთილი დემონსტრატიულად მიატოვა და აგერ, სამი დღეა, სკოლაში არ გამოჩენილაო.

იმ საღამოსვე გაემართა კლასის ხელმძღვანელი შოთას ბინისაკენ. გაეცნო მის ოჯახურ მდგომარეობას. რაოდენ განცვიფრდა შოთა, ქუჩაში თამაშით დაქანცულს შინ რომ მერი მასწავლებელი დაუხვდა.

— რა გინდათ ჩემგან? არ დავბრუნდები სკოლაში და არა. მასწავლებლები მემტერებიან, სულერთია მაინც არ გამახარებენ, — გაიძახოდა ჯიუტად.

ხან ალერსიანი, ხან მკაცრი კილოთი კარგა ხანს არწმუნებდა იმ ღამეს მასწავლებელი გზას აცდენილ ყმაწვილს, სანამ სიტყვა არ ჩამოართვა, რომ მეორე დღეს უთუოდ გამოცხადდებოდა სკოლაში. ამჯერად შოთამ არ გატეხა თავისი სიტყვა.

მეორე დღეს რაზმის საბჭოს საგანგებო სხდომა შედგა, კლასის ხელმძღვანელისა და უფროსი პიონერხელმძღვანელის მონაწილეობით. გადაწყვიტეს, განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ შოთა ჩიხლაძის მიმართ, რაზმის თითოეულმა წევრმა თავის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად გაიხადა ჩამორჩენილი ამხანაგისადმი დახმარების გაწევა, რათა კვლავ გაეღვივებინათ მასში სწავლისადმი სიყვარული, აღმზრდელებისა და ამხანაგებისადმი პატივისცემის გრძნობა.

ასე გადიოდა დღეები, კვირეები და თვეები. მასწავლებლებისა და ამხანაგების ყოველდღიური ზრუნვით გულგამთბარ შოთაში თანდათან გარდატეხა მოხდა; თანდათან იძენდა საბჭოთა მოსწავლისათვის აუცილებელ ჩვევებს. იგი ბეჯითად შეუდგა გაკვეთილების დამზადებასაც. და თუ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის მას თითქმის ყველა საგანში შეფასება ჰქონდა — «2», პირველი მეოთხედის ბოლოს ორიანების რიცხვი სამამდე დაიყვანა, შემდეგ კი მთელი რწმენით განაცხადა: იანვრის არდადეგებისათვის არც ერთი ორიანი არ მეყოლებაო.

უხარიათ, გულით უხარიათ შოთა ჩიხლაძის წინსვლა მეექვსე მეორეკლასელებს — მე-7 პიონერულ

რაზმის წევრებს. ტყუილად როდია მე-7 რაზმი ერთ-ერთი სამაგალითოთაგანი მთელ რაზმეულში. მან მიზნად დაისახა «შვიდწლედის თანამგზავრი რაზმის» საპატიო წოდება მოიპოვოს. ამის მისაღწევად კი პირველ რიგში საჭიროა სანიმუშო სწავლა, შრომისადმი სიყვარული, პიონერული მოვალეობების პირნათლად შესრულება. რაზმი იბრძვის, რათა მის რიგებში არ იყოს არც ერთი აკადემიურად ჩამორჩენილი პიონერ-მოსწავლე. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე —ევგენია ჯანეზაშვილი ფრანგული ენის უკეთ დაუფლებაში ეხმარება ლილი ჯიოშვილს, გრუნია ქათამაძეს, ემზარ ალავერდაშვილს; ნანული გოგიჩაშვილი ნანული მარღიშვილს ამეცადინებს სხვადასხვა საგნებში. თემურ მამაჯანოვი მის გვერდით მჯდომ, ამჟამად უკვე დამეგობრებულ შოთა ჩიხლაძესთან ერთად ამზადებს ხოლმე გაკვეთილებს. ასევე ზრუნავენ შედარებით ჩამორჩენილ მოსწავლეებზე: მანანა იამანიძე, ნინო ქსოვრელი, ნელი გვიმრაძე, მერაბ კალანდაძე და სხვა ხუთოსანი მოსწავლეები.

მაგრამ მარტო გაკვეთილების დამზადებით შორს ვერ წახვალ, თუ ცოდნის ჰორიზონტს არ გაიფართოვებ კლასგარეშე წიგნების შეგნებული კითხვით. ეს იციან მეექვსე მეორე კლასელებმა და ისინი სკოლის ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიური მკითხველები არიან. გატაცებით კითხულობენ საბჭოთა და უცხოურიდან თარგმნილ ლიტერატურას, დამხმარე წიგნებს ისტორიასა, გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში.

ამის შედეგია ის, რომ, რომელი საგანიც არ უნდა აიღოთ, მოსწავლეები საფუძვლიანად ამზადებენ მიცემულ გაკვეთილებს, სწორად და უყოყმანოდ პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, ყოფაქცევითაც სანიმუშონი არიან მთელ სკოლაში.

მოსწავლეები ჩაბმულნი არიან ფრანგული მეტყველების, ფერწერის, ქორეოგრაფიულ და სხვა წრეებში. ბიჭების უმრავლესობა ქართული ჭიდაობის წრეშიც მეცადინეობს, გოგონები კი ჭრა-კერვას სწავლობენ გულმოდგინედ.

მეშვიდერაზმელებმა თავი ისახელეს ჯართის შეგროვების საქმეშიც. მათ უკვე ტონანახევარზე მეტი ჯართი ჩააბარეს სახელმწიფოს. ისინი, აგრეთვე, მოვლა-პატრონობას არ აკლებენ სკოლაში მოშენებულ ქათმებსა და მტრედებს. ყოველდღიურად თავს დასტრიალებენ სკოლის დერეფნებსა და ფანჯრების რაფებზე ჩამწკრივებულ ქოთნებში ნაირფერად მოხასხასე მცენარეებსა და ყვავილებს; იბრძვიან სკოლის ყველა კუნჭულში სანიმუშო სისუფთავისათვის.

გენადი მამულაშვილს, თემურ მამაჯანოვს, ნელი გვიმრაძეს და სხვებს მეგობრული მიმოწერა აქვთ ურალელ თანატოლებთან. პიონერთა ოთახში თვალსაჩინო ადგილასაა მოთავსებული ურალელი პიონერების მიერ საჩუქრად გამოგზავნილი ალბომი ჩუსოვოს თვალწარმტაცი ადგილების ხედებით და წიგნი— «მოგზაურობა ურალში». არც თბილისელი პიონერები დარჩენილან ვალში, მათაც გაუგზავნეს ციმბირელ მეგობრებს სამახსოვრო საჩუქრები.

მეშვიდერაზმელებს პირობა აქვთ დადებული, რომ პიონერულ ორწლედში უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწევენ სწავლაში, შრომაში, ყოველგვარ სასარგებლო საქმიანობაში.

ს. შამფრიანი

ფოტო **თ. სახაროვისა**



ლადო ლაბუჩიძე მუდამ დაუზარებლად ეხმარება ჩამორჩენილ ამხანაგებს.

გაიცანით — მინა!

ბურთი ფანჯრის მინას მოხვდა! ხელიდან გაგვივარდა ჭიქა; უხერხულად შევეხეთ სარკეს... და ისმის დამსხვრეული შუშის ხმა. ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ ამას.

მაგრამ წაიკითხეთ ეს წერილი და თქვენ ყველაზე უფრო სწორედ მინის სიმტკიცე განგაცვიფრებთ. თუმცა დღეს თითქმის არაფერი აღარ არის გასაკვირი — მეცნიერება პირდაპირ სასწაულებს ახდენს და, როგორც ჩანს, ახლა მინის საოცარი გარდაქმნის დროც დადგა.

როგორ თუ გავიცნოთ? მინა ხომ ერთ-ერთი ჩვეულებრივი და ცნობილი მასალაა! საკმარისია ვახსენოთ იგი, და ჩვენს წინ ფართო ფანჯრებიანი უზარმაზარი სახლები, სარეკლამო მილები, ბროლის ჭაღები და მრავალი სხვა მინის ნაკეთობა წარმოდგება. ძნელია იპოვო ისეთი ადამიანი, რომელსაც მინა არ ენახოს, არ იცოდეს მისი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც შეიძლება მინის გაცნობა, უფრო სწორად, გაცნობა მისი შესანიშნავი მომავლისა.

უკანასკნელ ხანებში მინა სულ მეტად და მეტად იხმარება მშენებლობაში, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში. მინა დიდი წარმატებით ცვლის ლითონს, ხეს და ბეტონსაც კი. ვის არ უნახავს ჩვეულებრივი წითელი აგური, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ნამდვილი მონოპოლისტი იყო საშენ მასალათა შორის. ახლა გამოირკვა, რომ მალე ჩვეულებრივი აგური გზას დაუთმობს მინის აგურს. ხოლო მინის კრამიტი, მილები და სათბობი რადიატორები სიიაფისა და სილამაზის გარდა, არ იჟანგებიან და ამიტომ ბევრად სჯობიან თიხისა თუ რკინის თანამოძმეებს.

მინის აგურები 1100 გრადუს ტემპერატურაზე მზადდება. შუაში ამ აგურებს ჰაერით სავსე არეები რჩება, რაც შესანიშნავად უწყობს ხელს ხმისა და თბოიზოლაციას. მინის აგურები დიდი სიმტკიცით გამოირჩევიან (ესეც თქვენი მყიფე მინა!), მასზე არ მოქმედებს არც სინესტე და არც სიმჟავე. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმაა ძნელი, გამძლეა თუ არა იგი. მაგრამ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მინის მასალა გამძლეობითაც აჯობებს სხვა მასალას.

აი კიდევ მინის ერთი ნაირსახეობა: მინა-რკინა-ბეტონი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი სამი სულ სხვადასხვა თვისების მასალისაგან შედგება. ეს მას პირდაპირ სასწაულებრივ გამძლეობას აძლევს. ამასთან, ნახევრად გამჭვირვალეა და შესანიშნავი მასალაა დიდ საწარმოო საამქროთა გადასახურავად.

როდესაც გაიზრდებით და რომელიმე თქვენგანი მოსკოვში ცენტრალურ სტადიონზე მოხვდება, დააკვირდით მის უკანასკნელ იარუსებს. იქ კარგად შეამჩნევთ ამ მინისაგან დამზადებულ დეტალებს და გაიხსენებთ, რომ ეს მინის პირველი ნაბიჯები იყო.

მოსკოვის ერთ-ერთ დიდ შენობაში კი ასეთ სურათს წააწყდებით: ოთახში რადიატორები არ დგას, მაგრამ ფანჯრის ქვემოთ კედელი, ე. ი. ის ადგილი, სადაც ჩვეულებრივ რადიატორები დგას, ცხელია. თურმე ნუ იტყვით, მშენებლებს ბეტონის ფილებში წინდაწინვე დაუტნევიათ შუშის მილები, რომელებიც ახლა რადიატორების როლს ასრულებენ. სიტყვამ მოიტანა და, უნდა ვთქვათ, რომ მინის მილები ახლა სხვაგანაც წარმატებით ცვლიან რკინის მილებს. ბევრი თქვენგანი ყურძნის მრეწველობის რაიონებში ცხოვრობს. აბა, სცადეთ, შეიხედეთ თქვენს ღვინის ქარხნებში: ახლა იქ სულ ვერ იპოვით რკინის მილებს. ყურძნის წვენი და ღვინო გაქათქათებული მინის მილებით მიჰყვება კედლებს. ასეა ტვიშის, წინანდლის, ორბელის ღვინის ქარხნებში.

ახლა მინის მილები 400 საბჭოთა საწარმოში არის გამოყენებული. შვიდწლედის მანძილზე მინის მილების ხვედრითი წონა მრეწველობაში განუზომლად უნდა გაიზარდოს. 1965 წლისათვის ჩვენი ქარხნები ასი ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის ასეთ მილებს გამოუშვებენ და ამით მილიონობით ტონა რკინას დაუზოგავენ სამშობლოს. ხომ ასეთი მრავალფეროვანია მინის აგურისა და მილების გამოყენება, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ახლახან აღმოაჩინეს მეცნიერებმა. თურმე, მინისაგან დენის გამტარი მავთულების დამზადებაც შეიძლება. ასეთი მინა შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული შენობების გასათბობად, ხოლო თუ მას შევღებავთ, იგი ფერად შუქს მოგვცემს. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია როგორ შეცვლის იგი ჩვენი ქალაქების სახეს, რა საოცარი სანახავი იქნება კინოების თეატრებისა და მაღაზიების რეკლამები.

ბევრს შეგიმჩნევიათ ხის მორებით დატვირთული მატარებლები... ეს უზომო ხე-ტყე თითქმის სულ შახტებში მიდის, თაღების შესამაგრებლად. ახლა აქაც მინა შეცვლის ხეს. ლენინგრადში უკვე დაამზადეს მსუბუქი და იაფი მინის სვეტები, რომლებიც შახტებში სამაგრებად იქნება გამოყენებული. კიდევ მეტი! ახლახან დონბასში ქვანახშირის საზიდი მინის ვაგონები გამოსცადეს. ყველა თქვენგანმა იცის, რომ ქაღალდი მერქნისაგან მზადდება. ისიც იცით, რომ ქაღალდი მეტად არამყარი მასალაა, მასზე დამღუპველად მოქმედებს სინესტე, ტემპერატურა, შუქი, მიკრობები და მწერები. ახლა ირკვევა, რომ, თურმე, შესაძლოა ჟურნალ-გაზეთები მინის ქაღალდზე დაიბეჭდოს. აბა მაშინ ნახეთ ნაბეჭდის გამძლეობა — ალბათ ათასობით წელს შეინახავს იგი ასოებს.

ჩვენ რომ აქ მინის ყველა ნაირსახეობა ჩამოგვეთვალა, ამ წერილს ბოლო არ ექნებოდა. მინის საოცარი შესაძლებლობის საილუსტრაციოდ უკვე მოყვანილი მაგალითებიც კმარა. გახსოვდეთ კი, რომ მისი შესაძლებლობა ჯერ ოდნავადაც არ არის ამოწურული.



ედიშერ ყიფიანი

ნახ. ჯ. ლოლუასი

მოთხრობა

როდესაც მამამ მითხრა, წელს საზაფხულოდ სოფელში ვერ წავალთო, თავზარი დამეცა. წარმოვიდგინე, რომ ბავშვებიდან მხოლოდ მე დავრჩებოდი მთელს ქალაქში, მხოლოდ მე—ერთადერთი გოგო. რაღა უნდა მექნა?—ვფიქრობდი გულში. ბიჭი მაინც ვყოფილიყავი, მაშინ აღარ შემეშინდებოდა მარტოდმარტო ქალაქგარეთ ხიარული, თბილისის ზღვაზე ან ლისის ტბაზე გასეირნება-მეთქი.

მაგრამ ჩემი შიში ცრუ გამოდგა. აქამდე მეგონა, ზაფხულობით არც ერთი ბავშვი არ რჩებოდა თბილისში, რომ ქალაქი მთლიანად უფროსების ბატონ-პატრონობაში გადადიოდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. ის კი არა და, მარტო ჩვენს უბანში იმდენი ბავშვი დარჩა, რომ ერთი დიდი სახლის დიდ ეზოში პიონერთა ბანაკიც გახსნეს. მე, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველთაგანი ჩავეწერე ამ ბანაკში.

მრავალი საინტერესო ექსკურსია მოვაწყეთ ამ ზაფხულს, მრავალი საინტერესო სალამო ჩავატარეთ, მაგრამ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დათვალიერების შემდეგ მე და ეთერს ერთი აზრი დაგვებადა: გადავწყვიტეთ თბილისის ქუჩებსა და ეზოებში გვევლო და ჯართი შეგვეგროვებინა. არდადეგების დამთავრებამდე კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი და იმედი გვქონდა, ამ ხნის განმავლობაში ბლომად შევაგროვებდით რკინეულს, თუკი, რა თქმა უნდა, ამ საქმიანობაში სხვა პიონერებიც ჩაებმებოდნენ.

ჩვენი ეზოს პიონერთან ბანაკში იყო ერთი ბიჭი, თმებაბურძგვნილი, მუდამ წარბშეკრული, დიდი უკმეხი მოლაპარაკე და გოგოების მოძულე. თუმცა არც ბიჭებს ეპუებოდა და, თუ რამე მიზეზს იშოვიდა, ყველას ქირდავდა და ეჩხუბებოდა. ბუბა ერქვა. არავინ ვიცოდით, რატომ იყო ბუბა ასე უშნო ხასიათისა. ზოგი ამბობდა, მამა დაეღუპა, უმამოდ იზრდებოდა და ამან დააჩინა თავისი დაღი; ზოგი ამბობდა, დედის მეორედ გათხოვებამ უფრო იმოქმედა ბავშვზე, ვიდრე მამის დაღუპვამო. ზოგი კი ამ მი ზეზებს არაფრად აგდებდა და ამტკიცებდა, ბუბა დაბადებით ურჯულო და უხიაგი გაჩნდაო, მისი მუავე ხასიათი არც მშობლების ბრალია და არც არავისიო.

ბანაკის დაარსების მეორე დღესვე პიონერხელმძღვანელმა გამოგვიცხადა: აგვისტოში ბანაკის ოც საუკეთესო პიონერს ტურისტულ ლაშქრობაში წავიყვანთ ბორჯომის ხეობის მიდამოებშიო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლაშქრობის მონაწილენი ნახავდნენ ვარძიის გამოქვაბულს, ახპინძის ისტორიული ბრძოლის ველს, ესტუმრებოდნენ ახალციხელ მაღაროელებს, დათვალიერებდნენ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას აბასთუმნის ობსერვატორიის უზარმაზარ ტელესკოპებიდან. „ოცი საუკეთესო პიონერი“ კი იმას ნიშნავდა, რომ პიონერთა ბანაკის ყველა ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიგელო, გამოგეჩინა თაოსნობა და პირნათლად შეგესრულებინა ყველა ვალდებულება.

ბუბამ კი... სწორედ ამის თქმა მინდოდა... ბუბამ ისეთი დანაშაული ჩაიდინა, ბორჯომის ხეობაში ხაექსკურსიოდ წასვლა აღარ ეწერა ბედად. აბა, როგორ ჩათვლიდნენ საუკეთესო პიონერად იმ ბავშვს, რომელმაც შურიანობის გამო თავის ამხანაგს გაარტყა? ჰო, სწორედ რომ შურმა დააბრმავა ბუბა, როდესაც ჩვენი ბანაკის ყველაზე კარგ სპორტსმენს, ბაკურს, მუშტი ჩაჰკრა ცხვირში და სისხლი ადინა. ბაკურმა კი იმდენი სულგრძელობა გამოიჩინა, ხელი არ შეუბრუნებია ბუბასათვის, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად აბურთავებდა და ცემით დაუეჟაავდა. რა მოხდა ასეთი? ბევრი არაფერი. ბანაკის სპარტაკიადაზე სირბილშიც აჯობა ბუბას, თოკზე ასვლაშიც და ღერძზე ვარჯიშშიც, ეს არც არავის გაკვირვებია, რადგან ვიცოდით, ბაკური დიდი ხანია დადიოდა სპორტულ სკოლაში. მაგრამ, როდესაც ჯერი ცურვაზე მიდგა, ბუბას წუთით გაეხსნა მოღუშული წარბები; იგი კარგად ცურავდა და იმედი ჰქონდა ახლა მაინც აჯობებდა ბაკურს. მაგრამ არც ეს იმედი გაუმართლდა. მსაჯებმა აღნიშნეს, რომ მეტოქენი ერთად მოვიდნენ ფინიშთან. ჯერ წყლიდანაც არ იყვნენ ამოსულნი, რომ ბაკურმა გაიღიმა და ნიშნი მოუგო ბუბას:

— აქაც კინაღამ გაჯობე, არაუშავს, გაიზრდები და ისწავლი ცურვას!

ეს ხუმრობით თქვა ბაკურმა, მაგრამ ბუბას ბრაზი ყელში მოაწვა, მოიქნია მუშტი და ცხვირში გაარტყა ბაკურს. წყალი წითლად შეიღება. ბუბა საცურაო აუზის მოაჯირზე ამოხტა და მუშტებმოღერებული ელოდებოდა ბაკურს. ეგონა, სამაგიეროს გადახდას ეცდებოდა მეტოქე. მაგრამ აქაც გაუცრუვდა იმედი. ბაკური წყლიდან ამოვიდა, ნაპირზე დაჯდა და თავი მაღლა ახწია, რომ სისხლის დენა შეეჩერებინა. ამ ხნის განმავლობაში ბუბა დაძაბული იდგა და აღელვებული ფშვინავდა. ბოლოს ბაკური წამოდგა, ერთი გადახედა ბუბას და მოსცა თავისი სიტყვებით:

— მეცოდები, შე საწყალო!—და თავის გზაა გაუდგა.

ბუბა გაშრა, არ მოელოდა საქმის ასე დამთავრებას.

— დედალო!—წამოიძახა მან და ბაკურს აედევნა.

— კრივი არ არის ჩვენი სპარტაკიადის პროგრამაში, თორემ გაჩვენებდი რა დედალიც ვარ!—თქვა ბაკურმა. ორივენი ერთ ხანს გაშეშებულნი იდგნენ. მერე ბაკურმა გასისხლიანებული ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ყველაფერი ეს იმიტომ გავიხსენე... იმიტომ გავიხსენე, რომ... ბუბა მეცოდება. მეცოდება, რადგან იგი არავის უყვარს ბანაკში. მენანება, რომ იგი ცუდი ბიჭია. მე მინდა ყველა კარგი იყოს. ყველა ბავშვი, ყველა ჩემი ამხანაგი. არასოდეს დავფიქრებულვარ იმაზე, რომ შეიძლება ადამიანი ცუდიც იყოს, შურიანიც იყოს, არავინ უყვარდეს და არავის უყვარდეს. მაგრამ... მაგრამ მგონი ეტყუოვარ—მე ისეთი გულჩვილი ვარ, ისეთი საწყალი გული მაქვს, რომ ბუბა არ მეჯავრება. რატომღაც მგონია, ასეთი ადამიანის შეყვარებაც შეიძლება. მგონია, თუ გულთბილად და ყურადღებით მოეპყრობი... არ ვიცი, არ ვიცი. იქნებ ვცდები. იქნებ სისულელეს ვამბობ...

როდესაც ჩემი და ეთერის თაოსნობას ბანაკის უფროსმა მხარი დაუჭირა, გადაწყდა ჯარითის მომგროვებელთა რაზმები ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ იმდენი მოსალისე გაჩნდა, რომ ყველას სურვილი რომ დაეკმაყოფილებინათ, ბანაკის სხვა წრეები, ალბათ, თავისთავად ეიშლებოდა.

— ასე არ ივარგებს! —თქვა ბანაკის უფროსმა და ირგვლივ ნრედ შემოსალტულ ბავშვებს გადახედა, — ჩამოვაყალიბოთ ორი რაზმი, თითოში ოთხი-ხუთი პიონერი რომ იყოს. საკმარისი იქნება... შეგროვებული ჯარითს ჩააბარებთ რკინეულობის საწყობში. თქვენ ყველამ კარგად იცით, რას ხმარდება შეგროვებული რკინეული—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშები მისგან გადაადნობენ თუჯსა და ფოლადს, თუჯისა და ფოლადისაგან სხვადასხვა ქარხნები დაამზადებენ ტრაქტორებს, კომბაინებს...

— გემებს! —წამოიძახა ვიღაცამ.

— რაკეტებს! —დავუმატე მე.

— და რაკეტის სამკერდე ნიშნებს!—მომესმა უკანიდან.

ეს პატარა მიტო იყო, მას მთელი ხალათი სხვადასხვაგვარი სამკერდე ნიშნებით ჰქონდა დაფარული, შინ ერთი იმდენი კიდევ ეწყო თავისი მაგიდის უჯრაში და ნანობდა, რომ ყველას ერთად ვერ იკეთებდა.

— ამაოა გარდა, — განაგრძო ბანაკის უფროსმა და სახეზე ღიმილი მოეფინა. — გახსოვდეთ, რომ გამარჯვებული რაზმის წევრებს ჩვენ წავიყვანთ ტურისტულ ლაშქრობაში, ბორჯომის ხეობისაკენ.

ამ ცნობამ ერთი ყივილ-ხივილი გამოიწვია ბავშვებს შორის.

— პირველი რაზმის ხელმძღვანელად ბაკური დავნიშნოთ,— თქვა ბანაკის უფროსმა.—ბაკურ, შეარჩიე ოთხი პიონერი... მეორე რაზმის ხელმძღვანელად კი...—იგი უეცრად გაჩუმდა და ირგვლივ შემოკრებილ ბავშვებს შორის ვიღაცას დაუწყო ძებნა, მერე ხელი მოიჩრდილა და ეზო მოათვალიერა. სახლის შესასვლელთან, კიბის საფეხურზე, მარტოდ-მარტო იჯდა ბუბა, ხელები მუხლებზე შემოეხვია და მიწას ჩასცქეროდა.

— ბუბა!—დაუძახა ბანაკის უფროსმა,—მოდი აქ!

ბუბა ზლაზვნით წამოდგა და თავჩაქინდრული მოგვიახლოვდა.

— გინდა ჯარითის შეგროვება?—ჰკითხა ბანაკის უფროსმა.

— არ მინდა!

— არაფერს აკეთებ ბანაკში, რამე ხომ უნდა გააკეთო?

— ჯარითის შეგროვება არ მინდა!

— რაზმის ხელმძღვანელად რომ დაგნიშნოთ?

— არა,— თავი გააქნია ბუბამ.

— გამარჯვებულ რაზმის წევრებს ტურისტულ ლაშქრობაში წავიყვანთ...

ბუბამ სწრაფად აიხედა, გამოცოცხლებული თვალები ბანაკის უფროსს მიაპყრო, თითქოს ამოწმებდა, მართალს მეუბნება, თუ არაო.

— ა, თქვი, თორემ, სხვაც ბევრია მსურველი.

— მერედა,—ხმა ამოიღო ბუბამ, მაგრამ აღელვებისაგან სიტყვა ყელში გაეჩხირა,— ვის უნდა გაეჯიბროს ჩვენი რაზმი?

— ბაკურის რაზმს!

— ბაკურის?!

ბუბამ და ბაკურიმ წამით ერთმანეთს გადახედეს. ბაკური ოდნავ გამომწვევად იღიმებოდა, ბუბამ წარბები მოღუშა:

— კარგი, თანახმა ვარ,—ჩაიბურდღუნა მან,—დამარცხებულ რაზმს ლაშქრობაში ხომ არ წაიყვანთ?.. ხომ დასტოვებთ, როგორც დამარცხებულს?—ბუბას რაღაც სათქმელი აწვალებდა, მაგრამ არ ამბობდა, ბოლოს გამოტყდა,—თუ დამარცხებულსაც წაიყვანთ, მაშინ არ მინდა!

ბანაკის უფროსს გაეცინა.

— თუ მისმა წევრებმა რაიმე სხვა საქმეში არ გამოიჩინეს თავი, რა თქმა უნდა, არ წავიყვანთ!

— კარგი, თანახმა ვარ!—გაიმეორა ბუბამ.

მხოლოდ, უნდა შერიგდეთ შენ და ბაკური!

ამ სიტყვების გაგონებაზე ბუბამ უკან დაიწია.

— არ არის საჭირო!—თქვა მან.

— თუ არ შერიგდებით, არც დაგნიშნავთ რაზმის ხელმძღვანელებად, ლაშქრობაში სხვები წავლენ... ბაკურ, მოდი, ხელი ჩამოართვით ერთმანეთს.

ბაკურმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ბუბას ხელი გაუწოდა. ბუბამ ისევ უკან დაიხია.

— არ მინდა მოგატყუოთ. შალვა მასწავლებელო,—მიმართა მან ბანაკის უფროსს,—თქვენს თვალწინ ხელს ჩამოვართმევ, მაგრამ მე ეს მაინც არ გავცემ ხმას.

— კი მაგრამ, რა დაგიშავა ასეთი?

— მერე შევრიგდებით, თავისთავად, ასე არ მინდა.

ბანაკის უფროსი ერთ ხანს რაღაცაზე ფიქრობდა, თითქოს სწონიდა, ღირდა თუ არა დაძალება და თავისი სიტყვის გატანა, ბოლოს თქვა:

— კეთილი, თქვენ თვითონ შერიგდით, ოღონდ აუცილებლად შერიგდით!

მთელ ამ სცენას პიონერები გატვრენილნი ვუსმენდით. მე ვღელავდი, გული ბაგა-ბუგით მიცემდა, თან მეშინოდა, ბუბამ თავისებურად არ აურიოს და საქმე არ გააფუჭოს-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

იქნებ გამოიჩინოს თავი ბუბამ, ვფიქრობდი მე, იქნებ აღადგინოს თავისი გატეხილი სახელი?

მეორე დღესვე, ადრე დილით, საქმიანობას შევუდექით. მე ბუბას რაზმში ჩავეწერე, პატარა მიტოც ჩვენთან მოვიდა, ეთერიც ჩვენ შემოგვიერთდა.

— იცოდეთ, არავის არ შეგიბრალებთ,—გვითხრა ჩვენს პირველ „თათბირზე“ ბუბამ,—მე აუცილებლად უნდა წავიდე ბორჯომის ხეობაში, აუცილებლად უნდა გავიმარჯვო. და რომ დამაღალატოთ, ხომ იცით ჩემი ამბავი!—შევნიშნე მუშტის მოღერება უნდოდა ბუბას, მაგრამ მხოლოდ თითის დაქნევით დაკმაყოფილდა.

— ბაკურს სამი გოგო ჰყავს რაზმში, ჩვენ კი—მხოლოდ ორი, რა თქმა უნდა, ვაჯობებთ,— თქვა მიტომ და თავის სამკერდე ნიშნებს სახელო აუსვ-ჩამოუსვა, გააპრიალა.

— გაარჩინა,—ეშმაკურად გადახედა ბუბამ მიტოს,—ზოგი გოგო ბიჭივით ღონიერია, ზოგი ბიჭი კი—გოგოსავით დოყლაპია.

მიტომ ვერ გაუგო ქარაგმა, იგი ისევ თავისი ნიშნების წმენდით იყო გართული.

— ჯერ ჩვენ ჩვენი ეზოები მოვიაროთ, რასაც ვიბოვით, წამოვიღოთ და პირველ საათზე საწყობთან შევიკრიბოთ,—დააწყო გეგმა ბუბამ,—თუ მძიმე ნივთებს დაიგულებთ, მერე მთელი რაზმი მივალთ და ერთად წამოვიღებთ. აბა, წავიდეთ! არ დაგავიწყდეთ—პირველ საათზე, საწყობთან. იმდენი წამოიღეთ, ოფლად იწურებოდეთ!

დავიშალეთ. მე სახლისაკენ გავეშურე. მივდიოდი და ვფიქრობდი ბუბაზე. ნეტავ რამ დაიინტერესა იგი? ჯერ ხომ ცივ უარზე იყო, არც ჯარითის შეგროვებაში მონაწილეობის მიღება უნდოდა, არც რაზმის ხელმძღვანელობა. მერე რაღამ შემოუბრუნა გული? ბაკურის დაჯაბვნა, რომელთანაც სპორტულ ასპარეზობაში ვერაფერს გახდა, ჩემის აზრით, მისთვის ამჯერად მთავარ საზრუნავსა და საფიქრელს აღარ წარმოადგენდა. მაგრამ ის კი მახსოვს, როგორ გაუბრწყინდა თვალები, როდესაც ბანაკის უფროსმა ტურისტული ლაშქრობა ახსენა.

ბუბას ღიმილი იშვიათად მინახავს, მაგრამ, როცა მის სახეს წარმოვიდგენდი, მუდამ გაღიმებული მიყურებდა და თანაც თვალს არ მაშორებდა და მეუბნებოდა: „მზია, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ცოტა ლამაზიც ხარ...“, მაგრამ მაშინვე გავიფიქრებდი, რომ უხეში ბუბა, უსიტყვო და დამცინავი ბუბა, არასოდეს მეტყოდა ამ სიტყვებს, და რატომღაც გული მწყდებოდა... თუ არ მეტყვის, ნუ მეტყვის, არც მინდა, რომ მითხრას. რა მისი საქმეა კარგი ვარ თუ ლამაზი?

ეროვნული ბიბლიოთეკა



— აბა, შემოიტანეთ!—დაგვიძახა საწყობის გამგემ და კარი ღია დატოვა.

შინ მისვლისას, ბებია ნატოს გასაღები გამოვართვი და ჩვენს სარდაფში ჩავედი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინე ჩემი ბავშვობის დროინდელი სამთვალა ველოსიპედი, მონჯღრეული და მოუანგული. ვნახე ნახშირის უთო, ძირგავარდნილი ორი ქვაბი. ბოლოს დახეულსა და დამტვრეულ ქოლგას ტარი მოვაძრე, ესეც ჩემს ნადავლს დავუმატე. ყველაფერს ერთად სარდაფის შესასვლელთან მოვუყარე თავი და შინ ავედი.

— სარდაფში რა გინდოდა?—მკითხა ბებომ.

მე ყველაფერი ავუხსენი.

— დერეფანში რომ დამტვრეული თუჯის ღუმელი გვიდგა, არ გამოგადგებათ?—მოულოდნელად შემომთავაზა ბებომ.

— შეიძლება?!—წამოვიძახე გახარებულმა, ჭამას თავი მივანებე და დერეფანში გავვარდი, რომ დაახლოებით მაინც მევარაუდა ჩვენი ღუმელის წონა. ადგილიდანაც ვერ დავძარი. ო, როგორ გაუხარდება ბუბას!

კიბეები ჩავირბინე, ველოსიპედს გარდა, ყველაფერი ტომსიკაში ჩავყარე და საწყობისაკენ გავეშურე. გზაში ხშირ-ხშირად ვისვენებდი, მაგრამ მაინც ოფლში გაწუწული მივადექი საწყობს, ასე რომ, ბუბას ეს პირობაც შევასრულე უნებურად. ჯერ არავინ იყო მოსული. არ ვიცოდი როგორ ჩამებარებინა რკინეული და ამიტომ ლოდინი დავიწყე. პირველად ეთერი გამოჩნდა. კონსერვის ცარიელი კოლოფების გარდა, ვერაფერს წაწყდომოდა, მაგრამ მაინც გახარებული იყო თავისი წვლილით. ეთერს მიტო მოჰყვა. წყალსადენის დაჟანგულ მილს მოარახრახებდა ქვაფენილზე. ეტყობოდა, ძალზე დაღლილიყო და უჭირდა. ჩვენ შევეგებეთ და ტვირთი შევუმსუბუქეთ. დაბოლოს ბუბაც გამოჩნდა, ზურგზე რაღაც აეკიდა, წელში ორად მოხრილიყო და მძიმე ნაბიჯებით გვიახლოვდებოდა. ჩვენ ვერ შეგვამჩნია, რადგან მაღლა ახედვის საშუალება არ ჰქონდა. სამივემ მივირბინეთ. საღებავგადაცლილი რკინის საწოლის თავი მოეკიდა ბუბას ზურგზე.

— საწოლის დანარჩენი ნაწილები შინ არის,—თქვა მან ქშენით და შეჩერდა,—ოთხი ფუთი მაინც გამოვა!

ჩვენ შეშველება გვინდოდა, მაგრამ არ ქნა, მე თვითონ მივიტანო. ბუბას ტვირთი ჩამოვაღებინეთ, ცოტა ხნით შეისვენა და საწყობის კარი შეაღო:

— აბა, შემოიტანეთ!—დაგვიძახა მან და კარი ღია დატოვა.

საწყობის გამგე, ჭაღარა, წითური კაცი, ხელებგაშლილი შემოგვეგება.

— აი, ყოჩაღ, აი, ყოჩაღ, ამ დილითაც კარგად გიმუშავნიათ, წუხანდელს არ ჩამოუვარდება,—მერე უეცრად დადუმდა, სათითაოდ შეათვალიერა ჩვენი განცვიფრებული სახეები და წამოიძახა:—თქვენ ახლები ყოფილხართ, კაცო, მე ბაკურის რაზმელები მეგონეთ!

ბუბას ფერი ეცვალა.

— ბაკური იყო უკვე?—ხმის კანკალით ჰკითხა მან.

— იყო რომელია, წუხანდელი მონაპოვარით მთელი საწყობი ამივსო,—თქვა გამგემ და კუთხეში მიყრილ რკინეულობისაკენ მიაბრუნა თავი.

— აწონეთ, ძია...

— ძია ანდრო!—გააცნო თავი გამგემ.

— აწონეთ, ძია ანდრო!—ცივად გაიმეორა ბუბამ.

ანდრომ ფიცრის სასწორზე შეუყარა ჩვენი ნადავლი, გაჭრა-გამოჭრა გირს თითი.

— ოთხმოცი კილო და სამასი გრამია!—თქვა მან, რაღაც დავთარი გადაშალა, კალამი მოიმარჯვა და ბუბას მიუბრუნდა,—თქვენ იქნებით ნომერი 18, დაიმახსოვრე! ამ ნომრის გასწვრივ ჩაიწერება თქვენი შეგროვილი ჯართი.

— ბაკურის რაზმი რომელი ნომერია?

— ჩვიდმეტი!

— დანარჩენები ვიღაა?

— სხვებია. გგონიათ, მარტო თქვენ აგროვებთ ამ რაიონში რკინეულს?

— მერედა, ჩვიდმეტ ნომერს რამდენი კილო აქვს მოგროვებული?—ვკითხე მე.

— ახ სამი!

— სცდებით, ორას სამი!—მოისმა უეცრად ხიცილნარევი ხმა. ყველამ მივიხედეთ. კარებში ბაკური გაჩხერილიყო, მთლად

სველი ჰქონდა ტანისამოსი, ძლივს სუნთქავდა და ცდილობდა მაზუთით გათხუპნული რკინის კასრი შემოეგორებინა საწყობში, მაგრამ ვერ ახერხებდა. საწყობის გამგე უმალ მასთან გაჩნდა, ვეება ხელები შემოხვია კასრს, გადმოსწია და საწყობის იატაკზე გადმოაყირავა.

— ყოჩაღ, ბიჭო, აი, ეს მესმის! კონსერვის კოლოფს ჰგავს სწორედ!—ჩაიცინთხითა გამგემ.

მაშინვე ბუბასკენ გავიხედე, შევატყვე, ძლივს შეიკავა თავი, რამე უკმეხობა რომ არ მიეხალა გამგისათვის, გაბრუნდა და საწყობიდან გავიდა. ჩვენც უკან გავყევით. ეზოში ბაკურის რაზმელი გოგონები ჩალიჩობდნენ, მოტანილ რკინეულს აგროვებდნენ საწყობის კართან.

— გამარჯობა თქვენი!

— ო, მზიას გაუმარჯოს,—ამომხედეს გოგოებმა.—როგორ არის თქვენი მუშაობის საქმე?

— ძალიან კარგად!

— გისურვებთ წარმატებას!

— თქვენც, აგრეთვე!

ასე მოკლე იყო ეს რაინდული გამოლაპარაკება ჩემსა და ჩემს მეტოქეებს შორის. უხმოდ განვაგრძეთ გზა. პატარა სკვერთან ბუბა შეჩერდა.

— ეთერ,—ხმა ამოიღო ბუბამ,—შეამჩნიე, რომ შენი მოტანილი კონსერვის კოლოფები საწყობის გამგეს არც აუწონია?

— ასწონა, როგორ არ ასწონა!—აღელდა ეთერი, იგი მიხვდა ბუბას საყვედურს.

— ჰო, სასწორზე კი დადო, არ შეგარცხვინა, მაგრამ მერე გვერდზე გადაყარა, როგორც უსარგებლო. იცოდეთ, დღეის შემდეგ კოლოფები და ქინძისთავები აღარ დავინახო თქვენს ხელში. თუ ვმუშაობთ, ვიმუშაოთ. სათამაშოდ მე არ მცალია. თქვენ რა გენაღვლებათ, შეიძლება ისედაც წაგიყვანონ ბორჯომის ხეობაში. თქვენ ხომ წე-ხი-ე-რე-ბი და მო წი-ნა-ვე-ე-ბი ბრძანდებით! მე კი, აუცილებლად უნდა გავიმარჯვო, რომ ვარძიის გამოქვაბული ვნახო!—ბუბამ ღრმად ამოისუნთქა, სადღაც სივრცეში მიაპყრო ოცნებიანი თვალები და განაგრძო,—ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა არის ვარძიის გამოქვაბული. ჩვენ იქ ვნახავთ ქვის ქალაქს, კლდეში გამოჭრილ დარბაზებს, ქვის სკამებს, გვირაბებს, დავიკარგებით ლაბირინთებში და ძლივს გამოვალთ. მე ისეთ ოთახებში შევალ, სადაც აქამდე ყველას ეშინოდა შესვლა. ჰოდა, იქ ვნახავ ძველ საომარ იარაღებს. ვინ იცის, იქნებ იქ გაქვავებული მეომრებიც დგანან ხელში შემართული ხმლებით?—ბუბა გაშეშებული იდგა, თითქოს მის წინ მართლაც იდგნენ გაქვავებული მეომრები. მე ურუანტელმა დამიარა ტანში.—ყველაზე საინტერესო კი იცით, რა არის?—მოისმა ბუბას ჩურჩული,—იქ შეიძლება თამარ მეფის საფლავი იყოს. შეიძლება კი არა, ნამდვილად არის, დამესიზმრა, გესმით?

ბუბა გაჩუმდა. ჩვენც სუნთქვაშეკრულნი ვიხხედით, რომ ეს სიჩუმე არ დაგვერღვია. და მე უეცრად გამიელვა აზრმა, უეცრად მივხვდი, თუ რატომ იყო ბუბა ისეთი უხასიათო, „ცუდი“ ბიჭი. ბუბას არ უნდა ეცხოვრა დიდ ქალაქის ქუჩებსა და მრავალსართულიან სახლებს შორის. იგი უნდა დასახლებულიყო სადმე მთებში, მიუვალ კლდეებში, ჯიხვებთან და გამოქვაბულებთან, იგი უნდა ყოფილიყო მონადირე, მწყემსი ან ალპინისტი, გეოლოგი ან არქეოლოგი, ტყის მცველი ან მეზღვაური. ბუბა არ იყო ქალაქისათვის დაბადებული. აი, რა აზრმა გამიელვა, როდესაც ბუბა ასე მოჯადოებულივით ლაპარაკობდა ვარძიის გამოქვაბულზე.

— ამიტომ უნდა გავიმარჯვოთ, ხომ გესმით?!—განაგრძო ბუბამ,—ვისაც მუშაობა არ უნდა, ახლავე თქვას!

— ნატო ბებო ძველ თუჯის ღუმელს მაძლევს,—ვთქვი მე,—იცით, რა მძიმეა?

— ყოჩაღ!—შემომხედა ბუბამ მადლიერი თვალებით,—დღესვე წავალთ და მოვიტანთ. შენ, მზია, ძალიან კარგი გოგო ხარ...

ამ სიტყვების გაგონებაზე გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, შემრცხვა და თავი ჩავლუნე, ნუთუ ბუბამ მართლა ის თქვა, რაც მოვისმინე?

— ჩვენი ეზოს ღობეში ძველი რკინის ჭიშკარია ჩატანებული,—თქვა ეთერმა,—თუ მის მაგივრად ქვებს დავაწყობთ...

— დავაწყობთ, დავაწყობთ!—გაეხარდა ბუბას,—ეთერ, შენც კარგი გოგო ყოფილხარ!

გულმა რეჩხი მიყო. არა, რა თქმა უნდა, მომეჩვენა. ბუბას ჩემთვის არასოდეს უთქვამს „კარგი გოგო ხარო“, ყოველთვის ეთერს... ეთერს ეუბნება ამ სიტყვებს... მე, მე... არც მინდა, რომ მითხრას...

— დღესვე მოვიტანოთ ჭიშკარიც და ღუმელიც, ხვალ დილით კი...—ბუბა განგებ გაჩუმდა და თავმომწონე ყოჩივით კისერმოღერებულმა შეგვათვალიერა, თითქოს ენანებოდა სახიხარულო ამბის ასე ერთბაშად თქმა.

— რა „ხვალ დილით“?—თავი ვეღარ შეიკავა მიტომ,

— ხვალ დილით, გათენებისთანავე, მეტეხის ხიდთან შევიკრიბოთ; ამას წინათ, მდინარის პირას, ხიდქვეშ, მე წავაწყდი სილაში ნახევრადჩაფლულ ძველი ხიდის მოაჯირს!

— მთლიან მოაჯირს?!

— არა, მოაჯირის ნაწილია, მაგრამ იმოდენაა, იმოდენა, რომ...—ბუბამ ნატვრით გააქნია თავი, თითქოს ამბობდა, ის რომ საწყობში მიგვატანინა, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო.

იმ საღამოს ნატო ბებოს ღუმელიც მივათრიეთ საწყობში, ეთერის ღობეში ჩატანებული ძველი ჭიშკარიც, დაღლილ-დაქანცულები დავბრუნდით შინ, რომ კარგად გამოგვეძინა და ალიონზე მეტეხის ხიდთან გავჩენილიყავით.

მართლაც, ჩვენი რაზმის წევრები ერთდროულად შევიკრიბეთ ქალაქის იმ რაიონში, სადაც გოგირდის უძველესი აბანოებია გაშენებული, მტკვრის გაღმა ნაპირს თავს დახდგომია შვეული კლდე, რომელსაც სიმაღლეს ჰმატებს მეთორმეტე საუკუნის ტაძარი. მის გვერდით გასულ საუკუნეში აშენებული იყო საპატიმრო. მრავალი, თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციონერი დაუბერებია იმ საპატიმროს კედლებს. ახლა საპატიმრო დანგრეულია, ადგილი მოასუფთავეს; აქ უნდა დადგას თბილისის დამაარხებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლი. სიძველეთა ეს მთელი ანსამბლი თითქოს გაკვირვებული გადმოჰყურებს ახალ ქალაქს, ახალ ქუჩებსა და ახალ ადამიანებს. და ალბათ ეძებს ძველ „ვირის ხიდს“, რომლის მოაჯირი მდინარის სილაში აღმოაჩინა ბუბამ და, რომელიც დღეს ჩვენ ახალ გზას უნდა გავუყენოთ.

— სცდებით! ორას სამოცი—მოისმა უცბად სიცილნარევი ხმა.

სანაპირო ქუჩას გავყევით და მალე მივადექით ორად გაყოფილსა და მდინარეზე ჩამავალ კიბეებს.

— აი, ხედავთ?!—დაიძახა ბუბამ და კიბის სახელურს გადაეკიდა. თვალი გავაყოლეთ მის ხელს და დავინახეთ სილაში ნახევრადჩაფლული ძველი ხიდის ნაწილი. „თუ ერთი იმდენი მიწაშია, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჭყეფს“, გავიფიქრე გულში.

მოულოდნელად გოგოების წივილ-კივილმა და შეშფოთებულმა წამოძახილებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. გავიხედე და რას ვხედავ, ბაკურის რაზმელი გოგოები კისრისტეხით ჩარბოდნენ მობირდაპირე კიბეზე და თან გაჰყვიროდნენ:

— ჩქარა, ჩქარა, ბაკურ, თორემ დაგვასწრებს ბუბა, ჩქარა, ბაკურ!

მე თვალისდახამხამებაში გავჩნდი მდინარის პირას. მიწიდან ნახევრადთავამოყოფილ ძველი ხიდის მოაჯირისაკენ თავჭუდმოგლეჯილნი მირბოდნენ ბუბა და ბაკური. თითქმის ერთდროულად მიირბინეს, ისე მოწყვეტით შედგნენ, ტანი ძლივს შეიკავეს, რომ ერთმანეთს არ შეხლოდნენ და ასევე ერთდროულად შეხტნენ ძველი ხიდის მოაჯირზე. ორი ბიჭის სიმძიმისაგან მოაჯირი აქანავდა.

— ეს ჩვენი ნაპოვნია!—გაცეცხლებული იყო ბაკური,—გიგა მეთევზემ მოგვასწავლა!

— ჰმ, გიგა მეთევზემ,—დამცინავად გაიმეორა ბუბამ,—თქვენ ამ წუთში შეამჩნიეთ მხოლოდ.

— ჰმ, ამ წუთში!—ახლა ბაკურმა გასცინა ბუბას.

— დიახ, დიახ, ახლა შეამჩნიეთ. ჩვენ დაგვინახეთ და მიხვდით, რისთვისაც ჩავდიოდით მდინარეში. მე კი რამდენი ხანია ეს დაგულებული მაქვს... ჰგავს შენს ხელობას, ასე მოტაკუებით გაგაქვს ყველგან თავი,—უსაფუძვლოდ დაჭიჭკრა ბუბამ.

— ენა შეიმოკლე, ბუბა, შენ სულ ჩხუბს ეძებ და ერთხელაც იქნება დაგეხმარები პოვნაში.

— მე უშენოდაც ვიპოვი!

— რას? რკინეულს?—გულუბრყვილოდ ჰკითხა ბაკურმა.

— რკინეულსაც და ჩხუბსაც.

— ბუბა, იცოდე, გზიდან ჩამომშორდი.

— გზა ფართეა, გაიარე!

— ეს მოაჯირი ჩვენს რაზმს ეკუთვნის.

— თქვენს რაზმს, აი, ეს ეკუთვნის!—წამოიძახა ბუბამ და ჰაერში გაიელვა მისმა მუშტმა, მაგრამ საბედნიეროდ ასცდა ბაკურს.

სახელაღწერილმა ბაკურმა მოაჯირიდან ისკუპა.

— ჩამოდი ძირს და გაჩვენებ სეირს!

მაგრამ მოაჯირი აქანავდა და ბუბამ ისედაც ვერ შეიკავა თავი. ძველმა მეტოქეებმა მუშტები მოიღერეს და ქშენით დაიძრნენ ერთმანეთისკენ, ორივეს სახე ასწითლებოდა, მძიმედ სუნთქავდნენ. მე, ეთერი და მიტო მაშინვე ბუბასთან გავჩნდით და მკლავებში ჩავაფრინდით. მაგრამ მან ერთი შეიბერტყა ტანი და ყველანი მოგვიშორა. იქით ბაკური გააკავეს მისმა რაზმელმა გოგონებმა, მაგრამ მათაც ჩვენი ბედი ეწიათ.

— დამანებეთ თავი,—უყვირა მათ ბაკურმა,—ბოლოსდაბოლოს, ოდესმე ხომ უნდა გავსრისო ეს კოლო?!

— იგემე კოლოს ნაკბენი!—დაღრიალა ბუბამ და ბაკურისკენ გაქანდა.

— ეი, ლაწირაკებო!—მოისმა უეცრად ვიღაცის ჩაბოხებული, მბრძანებლური ხმა. ბუბა ადგილზევე გაიყინა, ბაკურიც შეკრთა.

კიბეებზე დარდიმანდული ნაბიჯებით ჩამოდიოდა მაღალი, ბეჭებგანიერი შავტუხა ბიჭი, პაპიროსს აბოლებდა და კვამლს მაღლა ცისკენ უშვებდა. უკან არანაკლებ ჩაფსკვნილი სამი ყმაწვილი მოჰყვებოდა. ოთხივეს სახელოსნო სასწავლებლის ფორმა ეცვა.

როცა შავტუხამ მუშტმოღერებული და სასაცილოდ გაშეშებული ბუბა და ბაკური დაინახა, სიცილი წასკდა, შუა თითით წკიპურტი გაჰკრა პაპიროსს, ანთებულმა პაპიროსმა კვამლის ხაზი გაავლო ჰაერში და ბუბასა და ბაკურის ფეხებთან დავარდა.

— ერთი უყურეთ, ნამდვილ მამლაყინწებს არა გვანან?—მიუბრუნდა შავტუხა თავის ამხანაგებს, მერე მზერა ისევ მოჩხუბრებზე გადაიტანა,—აბა, მიდით, დაჭკარით, გამარჯვებულს ლიმონათს დავალევინებ!

სიძველეთა მთელი ანსამბლი თითქოს გაკვირვებული გადმოჰყურებს ახალ ქალაქს.

მაგრამ ბუბა და ბაკური არ იძვროდნენ, ახლა ორივენი შავტუხასაკენ შემობრუნებულიყვნენ, მუშტები ისევ მოკუმშული ჰქონდათ, თითქოს ძველ მტრებს ახალი საერთო მტერი შეეცნოთ და შეკავშირებულიყვნენ.

— რა გაჩხუბებთ, გასაყოფი გაქვთ რამე?—ხმა ამოიღეთ! დუმილი.

— მუნჯები არიან?—ღიმილით მოუბრუნდა შავტუხა მიტოს.

— არა, იციან ლაპარაკი,—ხერიოზულად უპასუხა მიტომ.

— რომელ ენაზე?—კვლავ იხუმრა შავტუხამ.

— ქართულზე!

— მაგრამ, ეტყობა, საერთო ენა მაინც ვერ გამოუნახავთ, რისთვის ჩხუბობენ?

— აი, იმ მოაჯირისთვის!

შავტუხას სახე ეცვალა, თავის მეგობრებს გადახედა მრავალმნიშვნელოვნად, მერე ბუბას ჰკითხა ჯიქურ:

— რად გინდათ ეს მოაჯირი?!

— ჯართს ვაგროვებთ!—ერთად წამოიძახეს ბუბამ და ბაკურმა.

შავტუხამ კვლავ მრავლისმეტყველად გადახედა თანაფორმელებს, მერე ისევ მოჩხუბრებს მოუბრუნდა:

— მერე იცით, მამლაყინწებო, რომ სხვისი ქონების გაყოფაზე ჩხუბობთ?

— ეს მოაჯირი არავისი ყოფილა, დღეიდან კი ჩვენია!—ვთქვი მე.

— უკაცრავად, ქალიშვილო,—დამცინავი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა შავტუხამ,—უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ, თქვენ რომელი მამლაყინწის არმიაში მსახურობთ?

— თავი დაანებეთ გოგოს!—დაუღრინა ბუბამ.

— უნდა მოგახსენოთ, ბატონებო და ქალბატონებო,—განაგრძო არტისტული კილოთი შავტუხამ,—რომ ჩვენი სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებსაც მოუკრავთ ყური, თუ რა არის ჯართის შეგროვება, მათაც იციან კარგი ნადავლის აღმოჩენა და საწყობში მიტანა,—შავტუხა ბოლთას სცემდა და თავის ფართო ბეჭებს დემონსტრატიულად მიმოარხევდა. მან პაპიროსი ამოიღო, დიდივით ფრჩხილზე დაიკაკუნა და გააბოლა.—ამას გარდა,—განაგრძო მან, როდესაც ბოლი ორთქლმავალივით ამოუშვა პირიდან,—იძულებული ვარ გაგიმარტოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან, აგრეთვე, რა არის კრივი, ვინ არიან არამკითხე ოსაწირაკები და როგორ უნდა აუწიონ მათ ყური.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მე ვიგრძენი, რომ ჩვენი ბიჭები ამას ვერ მოითმენდნენ. პირველი ბუბა აფეთქდა:

შავტუხა ბოლთას სცემდა და ბეჭებს ექმონსტრატიულად მიმოარხევდა.

— ნუ მიედ-მოედები, ითორემ...

შავტუხას განცვიფრებისაგან თვალები გადმოეკიდა, მაღლიდან ჩააშტერდა თითქმის ორჯერ დაბალ ბუბას.

— თორემ რა?—თქვა მან გამომწვევად.

— თორემ...—ბუბა შეყოყნდა,—თორე ავიღებთ ამ მოაჯირს და წაკიღებთ, ჩემი აღმოჩენილია!

— გესმით, რა დიდ ბუშტებს უშვებს ეს ძაფის კოჭი?—მიმართა შავტუხამ თავის ამხანაგებს,—კარგი, კეთილი, აიღეთ და წაიღეთ, ოღონდ ჩქარა!—შავტუხამ ეშმაკურად მოპრუწა ტუჩები, ამხანაგებს თვალი ჩაუკრა და კიბის საფეხურზე ჩამოჯდა, მერე უცბად გაახსენდა,—კი მაგრამ, თქვენგანს რომელს ეკუთვნის, თქვენ ბომ დაობდით?

— ჩემს რაზმს ეკუთვნის!—უპასუხა ბუბამ.

— მე თანახმა ვარ, მჯერა, რომ შენს რაზმს ეკუთვნის. დავა გადაწყვეტილია. აბა, წაიღეთ ახლა ჩქარა!—და შავტუხამ კვლავ თვალი ჩაუკრა ამხანაგებს.

ბუბა მოაჯირს დაეძგერა და დასწია, რომ მიწიდან ამოეგდო. ბაკური ხმას არ იღებდა, არ ვიცი რატომ, იქნებ იმიტომ, რომ შავტუხასთან კამათში ბუბამ გამოიჩინა თავისნობა. იგი თავის გოგონებთან ერთად განზე გამდგარიყო და ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა ბუბას ჭიდილს ხიდის მოაჯირთან. რაზმის წევრებიც წამოვეშველეთ ბუბას, ოთხივენი დავეპროწიალეთ სილაში ნახევრადჩაფლულ მოაჯირს, მაგრამ ძვრაც ვერ ვუყავით.

— მოიცათ!—თქვა ბუბამ, წელში გაიმართა და ხელის ზურგით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.—ნაფოტები და ჯოხები მოძებნეთ, ჯერ სილა გადავაცალოთ მოაჯირს.

ასეც მოვიქეცით და ათ წუთში ყველაფერი მზად იყო.

შავტუხა დაძაბული გვადევნებდა თვალს. ბუბამ და მეორემ წელიდან ჩაავლეს ხელი მოაჯირს, გოგოებს უკანა, მიწიდან ახლადამოღებული სველი მხარე გვერგო.

— მზად ხართ?—დაიძახა ბუბამ,—აბა, ერთი, ორი და სამი!

დავიძაბეთ, დავიძაგრეთ, მაგრამ, ჩვენდა საკვირველად, მოაჯირს ძვრაც ვერ ვუყავით.

— ხა, ხა, ხა,—ჩაგვესმა ყურში შავტუხას ხარხარი, იგი კიბეებზე გადაწვა და მუცელზე ხელები მიიჭირა,—უყურეთ ერთი, უყურეთ, როგორ მიარბენინებენ! ხა, ხა... აბა, ჩქარა, ჩქარა წაიღეთ, რაღას უყურებთ?!

ჩვენ კიდევ ერთხელ დავიძაბეთ, წელი მოვიწყვიტეთ, სირცხვილი გადავყლაპეთ, მაგრამ, უკაცრავად პასუხია, არაფერი გამოვიდა. შავტუხას ახლა მისი ამხანაგებიც აჰყვნენ, იცინოდნენ და კვდებოდნენ სიცილით. ბაკურსაც ღიმი მოერია, მაგრამ ხმამაღლა ვერ გაბედა სიცილი.

— არ ყოფილხართ ღირსნი! როგორც ჩანს, ეს მოაჯირი პირველად აი, იმ კარგმა ბიჭმა აღმოაჩინა,—თქვა სერიოზულად შავტუხამ და ბაკურს ხელი დაუქნია,—მოდით, წაიღეთ, ვიცოდი, რომ შენ იყავი ამის ნამდვილი მფლობელი,—და მეტი დამაჯერებლობისათვის შავტუხა წამოდგა, შარვალი ჩაიფერთხა. ამხანაგებმაც მიბაძეს და ყველა ერთად კიბეებს აჰყვა, თან გზადაგზა რაღაც თავის საქმეებზე დაიწყეს ბაასი. ერთი სიტყვით, შავტუხამ და მისმა ამხანაგებმა მშვენივრად გაითამაშეს სცენა უფროსებისა, რომლებმაც პატარებთან გაიხუმრეს, სიცილით გული იჯერეს, ახლა მოსწყინდათ და სახლისკენ მიდიან. ამაზე წამოეგნენ ბაკური და მისი რაზმელი გოგონები. მათ ელვის სისწრაფით „ალყა" შემოარტყეს მიწაზე თითქოს მიმაგნიტებულ ხიდის მოაჯირს, ოთხივე კუთხეში ჩაავლეს ხელი და მოისმა ბაკურის ჩუმი ბრძანება:

— აბა, ერთად! ვითვლი: ერთი, ორი, და სამი!.. ვაიმე!!—უეცრად ამ მოულოდნელი ამონაკვნესით დამთავრდა ბაკურის ბრძანება. მან ხელი უშვა დაწყევლილ მოაჯირს და ადგილზევე გაშეშდა, სახეზე ტკივილი გამოეხატა, წელში ვეღარ იმართებოდა. ისე იყო მოკაკული, თითქოს მიწაზე რაღაც დაკარგულ ნივთს ეძებსო.

— რა მოხდა, ბაკურ?!

— წელი, წელი მეტკინა!

ამის თქმა და შავტუხას სატანური ხარხარი ერთი იყო. სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა ერთი სიცილ-ხარხარით და მუცლებზე ხელის ჭერით უკანვე ჩამოირბინეს კიბეები, თვალებიდან ცრემლები სცვივოდათ და მე შემეშინდა, სიცილს ისევე არ მოექცია ისინი, როგორც მოაჯირის სიმძიმემ მოაქცია ბაკური.

— ეს რას ჭვავს... ხა, ხა, ხა, ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდით და ახლა აღარც ერთს არ მიგაქვთ? ეს ... ეს რა ოინ...ოინბაზობაა, თუ არ გინდოდათ ეს მოა... მოაჯირი, ვერა თქვით?

ახლა დაბეჯითებით დავრწმუნდი, რომ შავტუხამ კარგი მსახიობივით გაითამაშა გულგრილობა და წასვლა.

— აბა, ახლა ხუმრობა გვეყოფა!—უეცრად შესწყვიტა სიცილი შავტუხამ და ამხანაგებს ანიშნა, მოაჯირი წავიღოთო,—ვიჩქაროთ, თორემ საწყობამდე არც ისე ახლოა.

მათ სახელოები დაიკაპიწეს, დაკუნთული მკლავები გამოაჩინეს, ოთხივე მხარეს ჩაუდგნენ მოაჯირს, დაიხარნენ, დაავლეს ხელები, მერე წამით ერთმანეთს შეხედეს, თუ ყველანი მზად ვართო და ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, თითქოს უზარმაზარ ხეს თხრიან მიწიდანო, მუხლებამდე ასწიეს ძველი ხიდის მოაჯირი. ჩვენ, ყველანი, ორივე რაზმის წარმომადგენლები ნაცემი ძალლებივით შევყურებდით ამ სურათს, ხელიდან გვეცლებოდა ჩვენი მოაჯირი, ჩვენი იმედი.

— აბა, წავედით!—თქვა შავტუხამ, მაგრამ მე მისი კილო მეუცნაურა, თითქოს კბილებში გამოჭონა ამ ორმა სიტყვამ, თითქოს მის სათქმელად შავტუხას უდიდესი ენერგიის დახარჯვა მოუხდაო. ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა სახელოსნო სასწავლებლის „დამსჯელმა" რაზმმა, მაგრამ მოაჯირმა, თითქოს უეცრად გასულიერდაო, თავის ნებაზე მიარხ-მოარხია ყმაწვილები, მათდა უნებურად ირიბად გაიქცნენ ოთხივენი, კი არ გაიქცნენ, წაბორძიკდნენ. მერე ერთ

მათგანს ხელიდან დაუსხლტა მოაჯირის ყური, მერე მეორეს, მესამეს, და ბოლოს, შავტუხამაც სასწრაფოდ უშვა ხელი და გვერდზე გასტა, რომ ფეხი არ მოსტანებოდა მიწაზე ზღარბანითა და ერთი რიხინ-ჟღრიალით დავარდნილ მოაჯირქვეშ.

აბა, სიცილი ახლა უნდა გენახა! ბუბას რაღაც წკმუტუნ-ხლოკინის მსგავსი აღმოხდა, ბაკური აკისკისდ-არობხრობდა, მიტო კინაღამ დაიხრჩო მომსკდარი სიცილისაგან და უელზე ხელი იტაცა, ჩვენ, გოგოები კი, ადგილზე ავხტუნავდით და ტაში შემოვკარით ჩვენი „ჯალათების“ მარცხით უზომოდ კმაყოფილებმა. ნამდვილად რომ სასაცილონი იყვნენ ეს ნაცრისფერფორმიანი „გმირები“. მით უფრო, რომ აქამდე ჩვენ დაგვცინოდნენ, მით უფრო, რომ ჩვენთვის მოულოდნელი იყო მათი ასეთი უსუხურობა.

— გეყოფათ, ყველამ გავიცინეთ, ახლა საქმეს შევუდგეთ!—იხტიბარგაუტეხლად თქვა შავტუხამ, თითქოს საკუთარი თავის შერცხვენაც პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული,—აბა, მოდით აქ. ხათითაოდ კაპიკია თქვენი ფასი, მაგრამ იქნებ ერთად ცოტა წამოგვეშველოთ.

ცოტა ხნის შემდეგ, თორმეტი ბავშვი, ზოგი დიდი და ზოგი პატარა, ზოგი გოგო და ზოგი ყმაწვილი, რკინეულობის საწყობისკენ მივარაბრახებდით აწ დამორჩილებულსა და მოთვინიერებულ მოაჯირს. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ შავტუხამ მოაჯირის ნახევარი ჩვენ ორ რაზმს გაგვიყო და საწყობის გამგემაც ასე ჩაგვიწერა დავთარში.

მაგრამ ბუბა ამ შემთხვევით მაინც არ იყო კმაყოფილი. იგი დიდ იმედებს ამყარებდა ძველი ხიდის მოაჯირზე, ფიქრობდა, რომ მისი მოპოვების შემდეგ ჩვენს რაზმს არხეინად შეეძლო ყოფნა. ეს მართლაც ისე იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ იმ მოაჯირის წონის მხოლოდ მეოთხედი გვარგუნა. ბაკურის რაზმმაც, ბუბას თქმით, ხელის გაუნძრევლად მოიპოვა ამდენივე. და ამაკად ბაკური ისევ წინ იყო ჩვენზე. აი, ეს ადარდებდა ვარძიის გამოქვაბულებზე მეოცნებე ბუბას. შესვენებების დროს იგი გახედავდა ხოლმე სივრცეს, ან მიწას დააცქერდებოდა და ხმამაღლა ოცნებობდა, გონების თვალით წარმოიდგენდა მთელ თავის მომავალ ტურისტულ ლაშქრობას, წარმოიდგენდა, თუ როგორ ეყურებდა ქალაქობილის ობსერვატორიის უზარმაზარ ტელესკოპიდან ციური სხეულებს და მათ შორის მჭროლავ საბჭოთა თანამგზავრს.

დღე დღეს მისდევდა. დილით, პიონერთა ბანაკში გამოცხადების შემდეგ, ჩვენ ქალაქში მივდიოდით ჯართის შესაგროვებლად და გვიან საღამომდე არ ვბრუნდებოდით. გადავწყვიტეთ წარამარა აღარ ჩაგვეხედნა საწყობის გამგის დავთარში და აღარ შეგვემოწმებინა ხოლმე, თუ რამდენად წინ იყო ჩვენზე ბაკურის რაზმი. ჯობდა, მუშაობაზე გვეფიქრა, აღმოგვეჩინა ახალი და ახალი რკინის „საბადოები“ და, რაც მთავარია, არ გვეზარმაცნა. ჩვენის აზრით, წარმატება თავისთავად უნდა მოსულიყო, უნდა გაგვემარჯვნა, თუ მართლა ღირსნი ვიყავით, თუ არა-და... ერთი სიტყვით, ვთქვით და ბეჭედი დავსვით, მხოლოდ კვირაში ერთხელ შეგვემოწმებინა საწყობის გამგის დავთარი.

ერთ დღეს, პიონერთა ბანაკის საერთო შეკრებაზე, ბანაკის უფროსმა ახალი ამბავი გვამცნო—თურმე პიონერთა ორგანიზაციის ორმოც წლისთავთან დაკავშირებით ცენტრალურმა საბჭომ მოუწოდა ჩვენი ქვეყნის პიონერებს „ორი წლის განმავლობაში მილიონი ტონა ჯართი შეეგროვებინათ“.

— აი, მაგის ერთი მემილიონედი რომ მოიპოვოს ჩვენმა რაზმმა, კარგი ბიჭები ვიქნებით!—ინატრა ბუბამ.

— ორი წლის მანძილზე?

— ორი წელი რა ამბავია?! ამ თვის დამლევამდე!

მაგრამ, სამწუხაროდ, ვამჩნევდით, რომ თანდათან ძნელი ხდებოდა რკინეულის შოვნა. საკუთარ ეზოებში ერთი „ცუდად“ დაგდებული თუ მიჭედებული ლურსმანიც არ დავტოვეთ წაუღებელი. დიახ, ლურსმანი, რომელსაც პირველ ხანებში უკადრისობდა ბუბა, მოვიარეთ სახლის სხვენები და ჩაყანგული და ქალალდივით დაჭმუჭნული თუნუქის ფურცლები შევაგროვეთ. ახლო-მახლო ქუჩების მთელი „ავლადიდება“ უკვე საწყობში ელაგა.

ერთი სიტყვით, მივედით იქამდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბუბამ აათვალ-ჩაათვალიერა მიტოს ხალათზე მიბნეული, ათახფერად აბრეჭყვიალებული სამკერდე ნიშნები და თქვა:

— შინ გაქვს კიდევ?

— ორი ამდენი!—სიამაყით წარმოთქვა მიტომ.

— მოუარე, არ დაკარგო, შეიძლება დაგვჭირდეს.

მიტოს ფერფური ეცვალა. იმ დღის შემდეგ ხშირად ... ნახავს მისი სამკერდე ნიშნების სრული კოლექცია. ბუბა მწარედ იცინოდა ამ შემთხვევისა და, საერთოდ ჩვენი გაჭირვების გამო.

გაიარა ერთმა კვირამ და საღამო ჟამს, როდესაც საწყობის გამგე ჩვენს მიტანილ რაღაც ხუთიოდე კილო რკინეულს სწონიდა. ბუბამ დავთარში ჩაიხედა:

— მოდით აქ!—ხმის ირთოლვით მიგვიხმო ბუბამ. ჩვენ მივცვივდით და იმ ადგილზე, დავთარში, სადაც ბაბუას თითი კანკალებდა, წავიკითხეთ ციფრი—402 კგ. ბაკურის რაზმს კი მხოლოდ 318 კგ. ჰქონდა მიწერილი.

— ბომ გეუბნებოდით,—თვალებგაბრწყინებული ამბობდა ბუბა,—არ არის-მეთქი საჭირო ყოველ წუთს დავთარში ჩახედვა. ვმუშაობდით რაც შეგვეძლო და აი, ვიმარჯვებთ კიდევაც.

ხიხარულისაგან ყველამ ტაში შემოვკარით.

— აწი უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ეს წარმატება შევინარჩუნოთ,—გაგვაფრთხილა ბუბამ.

— ვერაფერი წარმატებაა!—შენიშნა საწყობის გამგემ, რომელსაც აწონვა დაემთავრებინა და დავთარში ახალ ციფრს წერდა.

— რატომ ვითომ?—ჰკითხა გაკვირვებულმა ბუბამ.

— მწოლარე კაცს აკვნის ბავშვიც აჯობებს!

— ვინ არის მწოლარე?!—წამოვიყვირეთ ერთხმად.



— განა არ იცით, რომ ბაკური მესამე დღეა ავად არის?!

— ბაკური? ავად?!

— მხოლოდ ის საცოდავი გოგოები დადიან,—გაეღიმა გამგეს და ეთერს მიუბრუნდა,—კონსერვის კოლოფების გარდა, ვერაფერი მოაქვთ. რა თქმა უნდა, აჯობებთ, მით უმეტეს, თქვენს რაზმში ორი ბიჭია.

ჩვენ განცვიფრებულნი და ოდნავ ნირწამხდარნი ვიყავით, რა ხანმოკლე გამოდგა სიხარული, ასეთმა იმედგაცრუებამ რწმენა დამიკარგა გამარჯვებისა. ბუბა იდგა თავჩაღუნული და საკუთარ ცერა თითს ღეჭავდა.

უხმოდ გამოვედით გარეთ და ყურებჩამოყრილნი დავადექით ქუჩას.

უეცრად ერთმა ბედნიერმა აზრმა გამიელვა: „მართალია, ასეთ გამარჯვებას ფასი არა აქვს, მაგრამ ერთი ხომ ცხადია, ბუბა ხომ ახლა ნამდვილად წავა ტურისტულ ლაშქრობაში, უკვე ველარაფერი შეუშლის ხელს, სიტყვა, სიტყვაა! გაიმარჯვა? ესე იგი, უნდა წაიყვანონ“.

მხიარულ გუნებაზე დავდექი, მიხაროდა ბუბას მომავალი სიამოვნებანი.

ჩვენ ვეძებდით, ვეძებდით... ვეძებდით ჯართს. მართლაც რომ, თავაუღებლად განვაგრძობდით მუშაობას. დავთარში მას შემდეგ აღარც ჩაგვიხედნია, რადგან აშკარა იყო, ყოველდღე უფრო და უფრო წინ ვუსწრებდით ბაკურის რაზმს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, ბუბა არ იყო ხასიათზე. მას შემდეგ, რაც ბაკურის ავადმყოფობა გაიგო, სულ მობღვერილი დადიოდა, იშვიათად ამოიღებდა ხოლმე ხმას, აღარც ვარძიის გამოქვაბულზე ლაპარაკობდა, აღარც ტელესკოპში გახედვაზე ოცნებობდა. როდესაც მუშაობას მოვრჩებოდით, დაიკარგებოდა, მეორე დილამდე ველარ ვხედავდით.

ერთ კვირა დღეს მამამ პაპიროსის საყიდლად გამგზავნა. მაღაზია რკინეულობის საწყობის პირდაპირ იყო. როდესაც მაღაზიიდან გამოვდიოდი, უნებურად გავიხედე საწყობისაკენ და უეცრად ბუბა შევიცანი. ზურგზე მოზრდილი რკინის ბორბალი მოეკიდნა და საწყობში შესვლას აპირებდა.

— ბუბა!—დავუძახე და მისკენ გავიქეცი.

ბუბა შეჩერდა, ძმიმედ შემოტრიალდა და, როცა დამინახა, შევატყვე, არ ესიამოვნა.

— რა გინდა?—მკაცრად მკითხა მან.

— ბუბა, რა საჭიროა კვირა დღესაც რომ წვალობ, ჩვენ ხომ ისედაც გავიმარჯვებთ!

— ვითომ?—მკითხა მან და სახე მომარიდა.

— რა თქმა უნდა, განა შენ არ გჯერა?

— ვეჭვობ,—თქვა მან, მერე სასწრაფოდ შებრუნდა და მომაძახა,—მანდ დამიცადე, ახლავე მოვალ!

— მეც შემოგყვები, ბუბა!

— არა, დამიცადე-მეთქი!—რატომღაც დამიღრიალა მან, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მივაქციე ამას და საწყობში შევყევი. ბუბამ ბორბალი სასწორზე დაადგა, ერთი მრისხანედ შემომხედა და გამგეს უთხრა:

— ასწონეთ!

გამგემ ასწონა და ბორბალი საწყობის ცარიელ კუთხეში მიაგდო, ცარიელ კუთხეში-მეთქი, რადგან ორი დღის წინათ ერთი ვაგონი ჯართი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გავუგზავნეთ... მიაგდო ბორბალი კუთხეში და გაშალა დავთარი:

— ისევ ისე, ხომ?—ჰკითხა გამგემ ბუბას.

— დიახ, ისევ ისე!

„რას ნიშნავს „ისევ ისე?“—გავიფიქრე და დავთრისაკენ მზერა გამექცა. და ოი, რა დაინახა ჩემმა თვალებმა—ბორბლის წონა გამგემ, ვითომც აქ არაფერი ყოფილიყოს, ბაკურის რაზმს მიუწერა.



— რას ნიშნავს ეს, ბუბა?—შევყვირე მე.

— შენი საქმე არ არის!—ცივად მომიგო მან.

— სწორედ რომ ჩემი საქმეა, ეს ღალატია, მეტი არაფერი!

— ხმა ჩაიკმინდე-მეთქი, ხომ გესმის?!—დამემუქრა ბუბა.

მე ძალიან, ძალიან მომხვდა გულზე მისი უხეში სიტყვები, მაგრამ ახლა ამის დროა არ იყო.

— ღალატია, ღალატი, არც კი გრცხვენია. აი, თურმე რაებს აკეთებ ჩუმჩუმად!

— აბა, ბიძიკო, სცდები,—ნიშნისმოგებით მითხრა გამგემ,—ეს ღალატი კი არა, ნამდვილი მეგობრობაა, ასეთები უნდა იყოთ ყველა!—და თითი ბუბასკენ გაიშვირა.

მეტი ველარ ავიტანე, კინაღამ ავტირდი, საწყობიდან გამოვვარდი, რომ ეს ამბავი ჩვენი რაზმის წევრებისათვის მეცნობებინა.

აი, თურმე ხად იკარგებოდა ბუბა საღამოობით, რატომ მოდიოდა დილ-დილობით დასიებული თვალებით და რატომ იღლებოდა ასე ადვილად ბოლო ხანებში. ვიგონებდი, გულში ვლანძღავდი ბუბას და უეცრად, ჩემდა უნებურად, შუა ქუჩაში ხმამაღლა წამომცდა:

— რა კარგი ყოფილხარ, ბუბა!

თვითონ გამიკვირდა ამ სიტყვებისა, მაგრამ ეს ალბათ შედეგი იყო იმისა, რასაც აქამდე გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რაც მჯეროდა და რასაც ჩემს თავს ვერ ვუმჟღავნებდი.

— ყოჩაღ, ბუბა!

ბაკურის რაზმმა გაიმარჯვა, მაგრამ არც ერთმა მისმა წევრმა არ იცოდა, რომ ეს ბუბას „ბრალი“ იყო. გამარჯვების ამბავმა საწოლში მიუსწრო ბაკურს და, ალბათ, ეს სიხარულიც იყო მიზეზი მისი სწრაფი გამოჯანმრთელებისა.

იმ დღეს, როდესაც ტურისტული ლაშქრობის მონაწილე პიონერებით სავსე ბორჯომის მატარებელი თბილისის სადგურზე იდგა და გასვლას ელოდებოდა, მე და ბუბა ორჯონიკიძის სახელობის პარკში ვიჯექით და აუზში მოცურავე გედებს შევყურებდით.

— გინდა წამო, ტირში ვისროლოთ!—შემომთავაზა ბუბამ,—შენ იცი სროლა?

მე გავყევი.

ცოტა ხნის შემდეგ ბუბამ მკითხა:

— მიტო და ეთერი მიდიან?

— კი!

— შენ როგორლა დარჩი, შენ ხომ ადრევე გქონდა უფლება მოპოვებული?

— ჰო, მქონდა; ჩემმა კედლის გაზეთმა ყველას აჯობა.

— მერე რატომ არ წახვედი?

— არ ვიცი... არ წავედი...—დავიბენი მე, გავწითლდი და ბუბას სახე ავარიდე.

— ბაკურმა იცის, რომ...

— არა, არაფერი იცის, მხოლოდ ცოტა გაკვირვებულია გამარჯვებით.

— ძალიან კარგი, თუ არ იცის.

— მაგრამ შეიძლება მიტომ უთხრას გზაში!

— არ ეტყვის, მე დამპირდა, არ ვეტყვიო,—თქვა ბუბამ და ტირში შეაბიჯა, მაგრამ უეცრად შეხასვლელშივე შეჩერდა და ხმენად გადაიქცა.

სადგურიდან ისმოდა ელმავლის საყვირის გაბმული ხმა.

ш ш ш

ბავშვებო! ხელოვნების ახვა დარგებიან ერთად, გიყვართ სახვითი ხელოვნებაც: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. რომელი თქვენგანი არ აღტაცებულა გამოჩენილი ოსტატების ქმნილებათა რეპროდუქციებით! ბევრი პიონერი მხატვართა ნამუშევრების გამოფენებზეც დადის,—რაც მისასალმებელია.

ჟურნალი „პიონერი“ მიმდინარე ნომრიდან თავის ფურცლებზე ქმნის ახალ განყოფილებას—„სახვითი ხელოვნება“. გვინდა ყველა პიონერმა წაიკითხოს აქ მოთავსებული მასალები. გახსოვდეთ: წარმოუდგენელია იყო ნამდვილად განათლებული და კულტურული ადამიანი ისე, რომ არ იცნობდე სახვითს ხელოვნებასაც, არ იცნობდე როგორც მშობლიური, ისე მსოფლიოს გამოჩენილი ოსტატების ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ш ш ш

გიორგი მაისურაძე

(პირველი ქართველი აკადემისტი მხატვარი)

გიორგი მაისურაძე—ავტოპორტრეტი

ქართველი ხალხი მსოფლიოს კულტურასან ხალხებს შორეულ წარსულშივე ამოუდგა მხარში და მისი წიაღიდან გამოსულ მხატვართა ხელით, იმ დიდი კულტურის აკვანი დაარწია, რომელიც ქართული სახვითი კულტურის სახელით არის ცნობილი.

ძველი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები და მათი მოხატულობა, ფართოდ გავრცელებული ოქროსა და ქვის მქანდაკებლობა, ქვის ჩუქურთმა და ხატწერა, კოპწია ნაქარგობანი და სიყვარულით ნაძერწი კერამიკა, ისევე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის სწორუპოვარი ძეგლები, თავიანთი ხასიათით განსხვავდებიან ახალი დროის სახვითი ხელოვნების ძეგლებისაგან.

ფერწერაში ტექნოლოგიის ახალი სახეობის—ზეთის ფერებით წერის დამკვიდრებამ მხატვრობა ახალი შემოქმედებითი ამოცანებისა და ახალ შესაძლებლობათა წინაშე დააყენა და ფართოდ გაუხსნა კარები სინამდვილის რეალისტურ ასახვას.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში რეალისტური მხატვრობის დამკვიდრების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიას. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ რომელი დიდი რუსი მხატვრის—კარლ ბრიულოვისა.

პირველი ქართველი აკადემისტი მხატვარი გიორგი ივანეს ძე მაისურაძე სწორედ ბრიულოვის სახელოსნოდან გამოვიდა.

გიორგი ივანეს ძე მაისურაძე დაიბადა 1817 წელს, კახეთში, ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში—წინანდალში. მაისურაძის წინაპრები, რაჭიდან გადმოხვეწილნი, ადრე პოეტის მამის მამულში დასახლებულიყვნენ. მხატვრის დედა ელისაბედი კი კახელი გლეხის ქალიშვილი ყოფილა. მათ ხუთი შვილი ყოლიათ.

გიორგი მაისურაძემ ბავშვობა გაატარა წინანდალში. იგი სულ ალექსანდრე ჭავჭავაძის კარზე ტრიალებდა, ამ ოჯახში გაეცნო იგი პირველად ევროპული მხატვრობის შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებიც ა. ჭავჭავაძის საკუთრებას წარმოადგენდა. შემდეგ ნაწილობრივ ეს სურათები გადმოტანილ იქნა ხელოვნების მუზეუმში.

1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ, გადასახლებაში მყოფმა პოეტმა ნიჭიერი ყმა რუსეთშიაც არ დაივიწყა და პირველ მოხერხებულ დროს იქ გაიწვია. მაისურაძე საქართველოდან რუსეთში 1835 წელს გაემგზავრა და მოსკოვს ჩავიდა. იქ იგი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და იმდროინდელი სხვა მოწინავე ქართველების დახმარებით მეცადინეობას იწყებს ხატვაში და ცნობილი რუსი მხატვრების—ტროპინინისა და ვენეციანოვის ყურადღებას იქცევს.

ა. ჭავჭავაძის მეშვეობით მოსკოვში მაისურაძის ნამუშევრებს ეცნობა ჯერ ქართველი ფილოსოფოსის ს. დოდაშვილის მეგობარი ა. ა. პეროვსკი-პოგარელსკი, შემდეგ კი ა. პუშკინი, ხოლო ამ უკანასკნელთა მეშვეობით—დიდი რუსი მხატვარი კ. ბრიულოვი. შემდეგში ბრიულოვი მაისურაძის მასწავლებელი და მფარველია.

გ. მაისურაძეს უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის აუცილებლად ესაჭიროებოდა ყმობიდან გათავისუფლება. და, მართლაც, 1837 წელს, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მაისურაძის მიერ მხატვრობაში «გამოჩენილ წარმატებათა გამო, საკეთილდღეოდ მშობლიური ხელოვნებისა», ალ. ჭავჭავაძე მაისურაძეს ათავისუფლებს ყმობიდან და პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო

საჯარო ბიბლიოთეკა

ალ. ჭავჭავაძის პორტრეტი, შესრულებული გ. მაისურაძის მიერ.

აკადემიაში აწყობს სასწავლებლად. ამით მაშინ ა. ჭავჭავაძემ პირველმა მისცა მაგალითი მთელს რუსეთის იმპერიაში ყმის გათავისუფლებისა. ტ. შევჩენკო ერთი წლის შემდეგ გამოისყიდეს ყმობიდან ჟუკოვსკიმ, პუშკინმა, ტროპინინმა და სხვებმა.

გ. მაისურაძე პეტერბურგში ცხოვრობდა ბ. ბაგრატიონის ოჯახში, ვასილევის კუნძულზე; მიუხედავად იმ ყურადღებისა, რასაც მისდამი იჩენდნენ იქ, მაინც დიდი გაჭირვებით ცხოვრობდა. ჩვენამდე შემონახულია ერთი დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ბრიულოვს უშუამდგომლია სამეცნიერო საბჭოს წინაშე, მაისურაძეზე დახმარების გაცემისათვის. ასეთი დახმარება მართლაც მიუციათ მაისურაძისათვის, მაგრამ ამ დახმარებით გაუსტუმრებიათ სწავლის ქირა და მაისურაძისათვის მხოლოდ დარჩენილი ერთი მანეთი მიუციათ.

გ. მაისურაძე აკადემიური ნამუშევრების გამოფენაზე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პირველად წარმოდგენილი იყო 1839 წლის აგვისტოში ა. ბ. ბაგრატიონის პორტრეტით.

გ. მაისურაძემ აკადემია დაამთავრა 1844 წელს, სამშობლოში დაბრუნდა საბოლოოდ 1850 წელს. გ. მაისურაძემ ადრე სამშობლოში ჩამობრუნებისას შეასრულა ალექსანდრესა და მისი მეუღლის სალომეს პორტრეტები, რომლებშიც უდაოდ საინტერესოდ წარმოადგინა ისინი.

1850 წელს მაისურაძე მოღვაწეობას იწყებს ქუთაისში. აქ იგი ქართველ ახალგაზრდობაში ნერგავდა ესთეტიკურ კულტურას; მისი მოწაფეები იყვნენ: აკაკი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. აბაშიძე, ს. ქვარიანი, ნ. მარი და სხვა ქართველი მოღვაწეები. მათ მაისურაძე ხატვასთან ერთად კალიგრაფიასაც ასწავლიდა.

მეფის ჩინოვნიკები მაისურაძეში ხედავდნენ მათთვის არასასურველ წრიდან გამოსულ მოღვაწე მხატვარს და ყოველნაირად ავიწროებდნენ მას. ერთხელ სამუშაოდანაც კი მოხსნეს, მაგრამ ა. ჭავჭავაძის ქალიშვილების ზრუნვით იგი ხელახლა იქნა აღდგენილი სამუშაოზე.



გ. მაისურაძის სახელზე გაცემული აკადემიის დამთავრების ატესტატი.

მაისურაძე თავის ქვეყანას 35 წლის მანძილზე ემსახურა. ქუთაისში ცხოვრების პერიოდში მან შექმნა ოცამდე საინტერესო პორტრეტი, მათ შორის აღსანიშნავია ქართველი მწერლების: ალ. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, დ. ჭონქაძის და ივ. კერესელიძის, ქართული კულტურის მოღვაწეთა, ქართველ მასწავლებელთა და მანდილოსანთა მეტყველი და წარუშლელი სახეები. საჭიროა ზოგიერთი ნამუშევრის გაწმენდა დროის დანალექისაგან და მათი სათანადო შესწავლა.

მაისურაძე ოჯახს მოეკიდა ქუთაისში. იქ მან ცოლად შეირთო პოლონეთის აჯანყების მონაწილის—ფორტუნატ ცეხანოვსკის ქალიშვილი. მხატვრის ცხოვრების ბოლო წლებშია შესრულებული ახალი დროის ქართული საპორტრეტო ჟანრის ერთერთი უბრწყინვალესი ნიმუში—ავტოპორტრეტი.

გ. მაისურაძის წვლილი ჩვენს ქართულ მხატვრობაში დიდია. იგი ქართველ მხატვართა შორის თავის შემოქმედებით პირველი დაუპირისპირდა საეკლესიო პირობითს ხატწერასა და ირანულ მხატვრობაში გაბატონებულ პირობითობასა და სტილიზაციის მეთოდს, და ქართულ მხატვრობაში სამოქალაქო, ახალი დროის შესაფერისი, რეალისტური მხატვრობა და მისი მეთოდი დაამკვიდრა.

გ. მაისურაძე იბრძოდა მხატვრობაში მისი ეპოქის დიდი იდეალების განმტკიცებისათვის, იბრძოდა იმ საქმისათვის, რისთვისაც იბრძოდა მაისურაძის თანამედროვე ქართული მწერლობა და თეატრი. იგი იყო დიდი ჰუმანისტი. მისი შემოქმედების ქვაკუთხედს ადამიანი წარმოადგენდა.

გიორგი მაისურაძე გარდაიცვალა ქუთაისში, 1885 წელს. დასაფლავებულია იგი მწვანე ყვავილას გალავანში, სადაც 1958 წელს გაიხსნა ქართველ მოღვაწეთა პანთეონი.

შალვა ქვასხვაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ქ. გრიგიანშვილი

ნახ. გ. ქუთათელაძისა

პიესა 2 სურათად

მონაწილენი:

1. **ნატო**, 2. **ვახტანგი** (ნატოს შვილიშვილი), 3. **ზამთარი**, 4. **გივი**, **ლეო**, **ავთანდილი**, **შაქრო** (მეზობლები).

სურათი პირველი

(სცენა წარმოადგენს ეზოს. სახლის შესასვლელთან კიბეზე დგას ნატო, რომლის გარშემოც შემოხვეული არიან ლეო, გივი და ავთანდილი).

ნატო—ყური დამიგდეთ, ჩემო პატარებო! ხომ იცით, რატომ გახდა ავად ვახტანგი?

ავთანდილი — იმიტომ, რომ გაცივდა.

ლეო—სკოლაში უპალტოოდ დადიოდა.

გივი — არც ქუდს იხურავდა.

ნატო—ჰოდა, დაიმახსოვრეთ! სიცივეში თბილად უნდა ჩაიცვათ. ვახტანგმა არ გამიგონა და წევს ახლა სიცხიანი. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ. გუშინწინ გივიმ დახერხილი შეშა დამაწყობინა, გუშინ ლეომ წერილი დამიწერა, დღეს ავთანდილმა წამალი მომირბენინა, ამიტომ თქვენთვის საჩუქრები მაქვს გამზადებული, ახლავე მოგიტანთ. (შედის სახლში).

გივი—ნეტავ რა უნდა გვაჩუქოს?

ლეო—ჩურჩხელებს დაგვირიგებს...

გივი—ხილს გამოგვიტანს...

ნატო—(გამოდის. საჩუქრები დამალული აქვს) აი, ეს შენ, ჩემო ლეო...

ლეო ვაი, რა ლამაზი წინდებია, გმადლობთ ბებია. (გამოართმევს).

ნატო—ოღონდ ჩუმად, ნუ იხმაურებთ.

გივი—მერე ვახტანგს?

ნატო—ვახტანგსაც აქვს. ეს შენ, ჩემო გივი...

გივი—გმადლობთ, ბებია, (გამოართმევს) რა კარგი ხელთათმანებია...

ნატო—ეს შენ, ავთანდილ.

ავთანდილი — რა კარგი ყელსახვევია! ესეც თქვენი მოქსოვილია?

გივი—მაშ, მაშ! ბებია ნატო ქსელის ნამდვილი ოსტატია.

ნატო—მაგრამ ყველაზე უკეთესი საჩუქარი ჯერ თქვენთვის არ მიჩვენებია.

ყველანი — რა არის, ბებია?

ნატო—იმასაც ახლავე ნახავთ. (შედის სახლში).

(შემოვარდება შაქრო).

შაქრო—თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, დამმალეთ ჩქარა...

ყველანი—რა იყო, რა ამბავია?

შაქრო — ჯერ დამმალეთ და მერე გეტყვით... ვიღაც კაცი მომდევს. ლეო, გაიხედე რა, მოდის?

ლეო—არა, იქით გაუხვია.

შაქრო—ველარ შემხედა, აქ რომ შემოვედი...

გივი—რა იყო, შაქრო?

ავთანდილი—რა მოხდა?

შაქრო — ყველაფერი მე უნდა დამემართოს! ქუჩაში მტრედებს შურდული ვესროლე, ქვა ახტა და ვიღაც კაცს თავში მოხვდა... თქვენ აქ რას აკეთებთ, რას შეგროვილხართ?

ლეო—აი, ბებია ნატომ რა მომცა...

ავთანდილი—აი, მე...

გივი—ეს მე მაჩუქა...

შაქრო—რატომ დაგასაჩუქრათ? ახლა სად არის?

გივი—სახლში შევიდა. ყველაზე უკეთესი საჩუქარი უნდა გამოიტანოს.

შაქრო—ის ალბათ ჩემთვის უნდა...

ავთანდილი — როგორ არა, შენ ფანჯარა გაუტეხე და საჩუქარს მოვცემს?

შაქრო — მე როდის გავუტეხე!.. (შურდულს უბეში მალავს) ბებია ნატომ კარგად იცის ვინც გაუტეხა!

გივი—მაინც, ვინ?

შაქრო — ვინა და შენ!.. (გამოდის ნატო ციგით ხელში) გამარჯობა, ბებია, ნატო... (წინ დაუდგება).

ნატო—იცოცხლე, შვილო. ჩემმა ვახტანგმა ორი ციგა გააკეთა. გუშინ თქვა: ორი რად მინდა, ეროი ჩემს რომელიმე ამხანაგს აჩუქეო.

შაქრო — ჩემზე იტყოდა. .

ნატო — ყველაზე მეტად ვის გიყვართ ციგაობა?

ყველანი — მე... მე...

შაქრო — გაჩუმდით, ნუ ყვირით!.. ბებია ნატო, ამათ რა ყურს უგდებთ, ვახტანგი ჩემზე იტყოდა მიეცით, ამათთვის საჩუქრები დაგირიგებიათ კიდეც. აი, თუნდ ვკითხოთ! (შესვლას აპირებს ვახტანგთან).

ნატო — მოიცა, არ შეხვიდე, ძინავს... ამ ციგას მიიღებს ის, ვინც ჩემი ფანჯრის მინა გატეხა... (ყველანი ჩუმად არიან). მაშ, თქვენ არ გაგიტეხიათ? კარგი, რაკი სიმართლის თქმა არ გყვარებიათ, ეს ციგა... (უნდა გაბრუნდეს)

შაქრო — (აწყვეტინებს) ბებია ნატო... (ნაბიჯს გადადგამს, შეჩერდება, შურდულს ამოიღებს, ჯოხს გატეხავს, რეზინებს დაწყვეტს და გადააგდებს) ბებია ნატო... არ მინდოდა... უცაბედად მომიხდა...

ნატო — კეთილი... რაკი ასეა, ეს ციგა შენთვის მიჩუქნია.

შაქრო — ბებია ნატო... არა... მე ციგა არ მინდა... (ატირდება).

ნატო — მოდი ჩემთან... გამომართვი...

(შაქრო მიდის ნატოსთან, გადაეხვევა და ატირდება).

ფ ა რ დ ა

სურათი მეოთხე

(იგივე სცენა. თოვს. გამორბის თბილად ჩაცმული ავთანდილი).

ავთანდილი — (გახარებული) თოვს!.. თოვს!.. რა კარგია, რა კარგია!.. გივი, ლეო, შაქრო, აქ გამოდით ჩქარა... (გამორბიან თბილად ჩაცმულნი გივი და ლეო, შაქრო ციგით შემორბის ნატოს სახლიდან).

გივი და ლეო — თოვს... თოვს...

შაქრო — ჰო, შენი გულისა, რას ვიციგავებთ!

ავთანდილი — შაქრო, ციგას მათხოვებ?

შაქრო — როგორ არა...

გივი — მე არ დამსვამ?

შაქრო — მაშ! (ციგას ძირს დადებს) აბა, ციგაზე დასხედით, ჩქარა!

(სხდებიან, შაქრო ციგაში გაებმება. მღერიან)

ყველანი — შევებმოდი მე ციგაში
და ზედ მიჯდა გოგიელა,
გადაბრუნდეს ჩვენი ციგა,
(ციგა გადაბრუნდება)
ჰერი ბიჭო, კოტრიელა!

(ყველანი იცინიან, ჭიშკრისაკენ გარბიან)

ავთანდილი — ხედავთ? ზამთარი მოდის...

ყველანი — ზამთარი მოდის! ზამთარი მოდის!..

ავთანდილი — წავიდეთ, ვახტანგი გავახარო... მაგრამ ნუ... და... გეშინ... რომ დაწყდეს?

შაქრო — რას ამბობ, ვახტანგი უკვე ფეხზეა, კარგადაა...

გივი — (ჭიშკარში იცქირება) აქეთ მოდის...

ყველანი — აქეთ მობრძანდით ზამთარო, აქეთ...

შაქრო — (ეძახის) ბებია ნატო, ვახტანგ, ჩქარა, გამოდით, ზამთარი მოდის. (გამოდის თბილად ჩაცმული ვახტანგი)

ვახტანგი — გამარჯობათ, ბიჭებო... (ეძახის) ბებია, ჩქარა, გამოდი.

(გამოდის ბებია)

გივი — აი, შეხედე! (შემოდის ზამთარი, მხარზე ხურჯინით).

ზამთარი — გამარჯობათ, ჩიტუნებო...

ყველანი — გაგიმარჯოს, ბაბუა!..

ზამთარი — გესალმებით პატარებო,
მალხაზებო, ცანგალებო,
მახარებს, რომ კარგად მხვდებით,
მიყვარს თქვენებრ ბეჯითები;
მოგიგონებთ მუდამ ქებით,
ვინც მოხუცებს ეხმარებით;

არ იცრუოთ არ იანცოთ,
მსურს სწავლაში ივაჟკაცოთ;
დაგიფარავთ მიწას თეთრად,
იციგავეთ თოვლში ერთად;
ჩემთან მოდით, ახლოს, გვერდით,
ყველა ტკბილად დამიბერდით;
მუდამ კარგად მინდა გნახოთ!
მოდით, ცეკვა გავაჩაღოთ!
(შუაში ზამთარს ჩაიყენებენ და ცეკვავენ).

ფ ა რ დ ა



ასეთია მათი ხვედრი

XVII ოლიმპიური თამაშების დროს იტალიის დედაქალაქ რომის და სხვა ქალაქების მოედნებსა თუ ქუჩებში ხშირად ნახავდით პატარებს, რომლებიც მათთვის შეუფერებელ სამუშაოს ასრულებდნენ. ჩვენ რამდენიმე ჩანახატი გავაკეთეთ, რომ გასაგები იყოს, თუ როგორ ცხოვრობენ მშრომელთა ბავშვები იტალიაში.

* * *

—ჭრელ-ჭრელი ბურთები, ოლიმპიური ემბლემებით მოხატული ბურთები!—ხმაჩახლეჩით გაჰყვიროდა ცეროდენა ბიჭუნა რომის ოლიმპიური სტადიონის წინ მდებარე მოედანზე და ცნობისმოყვარეთა თუ ნამდვილ მყიდველთა თვალწინ ჰაერში ატრიალებდა ბურთებს, სტადიონის ტრიბუნებიდან კი გამაყრუებელი ხმაური და ტაშისცემა მოისმოდა. ეს—ათიათასობით სპორტის მოყვარული ესალმებოდა თუ ამხნევებდა მსოფლიოს სახელგანთქმულ სპორტსმენებს. ბურთების გამყიდველი ხშირად იქითკენ იმზირებოდა, საიდანაც ხმაური ისმოდა, შურით ავსებულ თვალებს გააყოლებდა მის წინ გავლილ ტოლებს, რომლებიც მშობლების თანხლებით შეჯიბრების სანახავად მიიჩქაროდნენ. ალბათ როგორ გულით უნდოდა ძონძებში გამოწყობილ პატარას ერთხელ მაინც მოევლო თვალი სტადიონის ლამაზად მორთულ ტრიბუნებისათვის, საქვეყნოდ განთქმულ სპორტსმენებისათვის. მაგრამ სად ჰქონდა მას ბილეთის შეძენის საშუალება, რომელიც ძალზე ძვირი იყო და მასავით ღარიბი ბიჭუნა ვერ იყიდდა, თუგინდ მთელი კვირის განმავლობაში დილიდან ღამემდე ევაჭრა, ხმის ჩახლეჩამდე ეყვირა:

— ჭრელ-ჭრელი ბურთები, ოლიმპიური ემბლემებით მოხატული ბურთები!..



ჩვენს დანახვაზე მარჩელომ ურიკა შეაჩერა და გვთხოვა სურათი გადაგვეღო მისთვის.

„დომუს მარია“ — ასე უწოდებდნენ იმ შენობას რომში, რომელიც მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ ჟურნალისტებს ემსახურებოდა, სპორტული შეჯიბრების ამსახველ ცნობას აძლევდა. აქ ხშირად ნახავდით 12-13 წლის პატარა ბიჭუნას, რომელიც შენობის წინ ტრიალებდა. უფროსი რომ დაუძახებდა და პაკეტს გადასცემდა, იგი მოტოროლერის მძღოლს უკან მიუჯდებოდა და ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე კუთხისაკენ მიჰქროდა.

— მამაჩემის ერთმა კეთილმა ნაცნობმა მომიხერხა აქ სამუშაოდ მოწყობა. ძალზე ბედნიერი ვარ, რომ უფასოდ ვუყურებ შესანიშნავ სპორტსმენთა შეჯიბრებას. თუმცა ეს სიხარული ძალზე ხანმოკლეა, რადგან შევალ თუ არა შეჯიბრებაზე, თვალს მოვავლებ იქაურობას, მაშინვე გადმომცემენ შედეგებს და მეც იძულებული ვარ სწრაფად უკან გამოვბრუნდე. მაინც კმაყოფილი ვარ. ოლიმპიადის შემდეგ გასამრჯელოს მივიღებ, სახელმძღვანელოებს ვიყიდი, რომ წელს მაინც წამდაუწუმ არ ვირბინო სკოლის ამხანაგებთან წიგნების სათხოვრად.

— რობერტო, სასწრაფოდ ჩემთან! — შემოესმა ჩემთან საუბრით გართულ პატარას და იგი მაშინვე შენობის შესასვლელთან გაჩნდა, უფროსს პაკეტი გამოართვა, მოტოროლერთან მიირბინა, მძღოლს უკან მიუჯდა და თვალს მოეფარა.

* * *

სახედარშებმული ურიკა ხმაურით მირახრახებდა ნეაპოლის ერთ-ერთ ქუჩაზე. მას უკან ჟივილ-ხივილით მისდევდნენ ანცი ბიჭუნები.

— მარჩელო, მარჩელო, დაგვსვი ურიკაზე, — ემუდარებოდნენ სახედარზე წამოჭიმულ შავგვრემან მარჩელოს, რომელიც პატარებს სურვილს ვერ უსრულებდა, ამიტომ მათ მათრახით იგერიებდა. თურმე, სად სცალოდა მარჩელოს აბეზარა მდხოვნელებისათვის. მას მთელი დღე უნდა ეხეტიალა, თუნუქისა თუ რკინის ნამტვრევები უნდა შეეგროვებინა და სახელოსნოში მიეტანა, სადაც იგი მუშაობდა.

ჩვენს დანახვაზე მარჩელომ ურიკა შეაჩერა. მკვირცხლად გადმოხტა, მოგვიახლოვდა, შეგვათვალიერა, იტალიურ ენაზე გვკითხა თუ საიდან ვიყავით ჩამოსული და, როცა პასუხი მიიღო, სახე გაუბრწყინდა, გვთხოვა მისთვის სურათი გადაგვეღო. ჩვენ მას სურვილი შევუსრულეთ და აქვე მოთავსებულ ფოტოზე სწორედ ის მარჩელოა, რომელმაც დღეში 12 საათი ქუჩა-ქუჩა უნდა იხეტიალოს, მცირეოდენი გროშები მიიღოს, რომ ავადმყოფ დედას ლუკმაპური მიუტანოს.

მარჩელომ თავისი ამბის მოყოლა რომ დაამთავრა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად მოგვცილდა, კვლავ ურიკას კოფოს მოახტა. ურიკამ რახრახით განაგრძო გზა, მარჩელო კი ხელებს მანამდე გვიქნევდა, სანამ მოსახვევში არ გაუჩინარდა.

ზ. ჯაფარიძე

ძეგლთან

დიდის მოწიწებით მოვინახულეთ იტალიის ეროვნული გმირის — ჯუზეპე გარიბალდის ძეგლი, რომელიც აღმართულია რომში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გარიბალდის სახელი იყო დროშა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხისა. იგი სათაყვანებელ გმირს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციური ახალგაზრდობისათვის. 1848—1849 წლების იტალიის რევოლუციის დროიდან გარიბალდი კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც. განსაკუთრებით პოპულარული გახდა გარიბალდი ჩვენში იმ დროიდან, როდესაც მან დაიწყო თავის მოხალისეთა „ათასეულით“ ცნობილი ლაშქრობა. მცირერიცხოვანი პარტიზანული რაზმით გარიბალდის სასახელო გამარჯვებებმა აღფრთოვანება გამოიწვიეს ქართველ მოწინავე ახალგაზრდობაში. დიდი პატივისცემა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურისადმი გამოამჟღავნეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, კირილე ლორთქიფანიძემ და სხვებმა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრე-

ორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის საშუალო სკოლის პიონერებმა გადაწყვიტეს ახალი სასახელო საქმეებით აღნიშნონ პიონერული ორწლედი. ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგაც არ წყდება სკოლის ეზოში ერიამული. რგავენ ხეხილის ნერგებს. სკოლის ეზოში ხშირად შეხვდებით ანზორ ზუმბულაძეს. მან კარგად აითვისა ხილის მყნობის ხელოვნება; ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ კონკურსზე მის მიერ მოვლილი ხილი და ჰარხალიც იყო წარდგენილი. და აი, ერთ დღეს მეჯვრისხევის სკოლაში ანზორ ზუმბულაძის სახელზე პატარა ამანათი მოვიდა. კონკურსის ეიურიმ ანზორი ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა.

პიონერებმა დაამთავრეს სასკოლო ფერმის მშენებლობა, აქ ისინი უვლიან და ზრდიან ქათმებს. მეჯვრისხეველი პიონერები ხშირად დადიან ტყეში და აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს.

ამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა პიონერული ორწლედი თავიანთი სკოლის კეთილმოწყობით დაიწყეს. ისინი დაუზარებლად მუშაობენ უწერაიანეთის გზაზე, ამოავსეს ორმოები, მოასწორეს ხრეშით, გზის ორივე მხარეს გაწმინდეს თხრილები და წესრიგში მოიყვანეს სამანქანო გზა.

ორწლედის ქრონიკა

საში ხშირად თავსდებოდა ნარკვევები ჯუზეპე გარიბალდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

1863 წელს „ცისკარში“ ანტონ ფურცელაძემ ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა გარიბალდის ცხოვრებას. 1860 წელს დაწერა და 1871 წელს „კრებულში“ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ თავისი საბრძოლო ლექსი — „მესმის, მესმის სანატრელი“, რომელიც მიძღვნილი იყო გარიბალდის განმათავისუფლებელი ბრძოლებისადმი; გ. წერეთლის „მგზავრის წიგნში“ ბევრია ნათქვამი გარიბალდის სახელოვანი ბრძოლების შესახებ და ხაზგასმულია მისდამი თანაგრძნობა. როგორ ვიცით, ი. ჭავჭავაძეს სდომია მოხალისედ წასვლა გარიბალდის რაზმში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს ვერ მოუხერხებია. ი. ჭავჭავაძეს თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონია გარიბალდის დიდი სურათი.

1849 წელს ჯანიკოლოს გორაკის ფერდობზე გარიბალდელთა მცირერაზმი ჯუზეპე გარიბალდის მეთაურობით რომის დასაცავად მტკიცედ უტევდა და ებრძოდა ფრანგების მრავალრიცხოვან ჯარს. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად, რითაც დაიწყო იტალიის გათავისუფლება, გორაკზე აღმართულია ცხენზე ამხედრებული გარიბალდის ბრინჯაოს ძეგლი, რაც რომის შორეულ ქუჩებიდანაც კი მოჩანს. მას ამშვენებს აგრეთვე სხვადასხვა საბრძოლო ეპიზოდები და ფიგურები.

ამ ძეგლის მახლობლად, გორაკიდან დაშვებისას, დგას გარიბალდის მეუღლის, ბრაზილიელი ქალის ანიტა რიბერასის ძეგლი. ანიტა რიბერასი გვერდით ედგა თავის სახელოვან ქმარს ჯუზეპე გარიბალდს. ანიტა იყო გარიბალდის თავდადებული მეგობარი და მებრძოლი ამხანაგი. იგი მონაწილეობდა გარიბალდის ყველა ბრძოლაში. რომის დაცემის შემდეგ, როდესაც გარიბალდმა დასტოვა იქაურობა, ანიტა თან გაჰყვა მას. მათი გზა აუწერლად მძიმე იყო, რაზმს საშინელ პირობებში, უსმელ-უჭმელს მოუხდა აპენინის მაღალ მთებზე გადასვლა. ეს ვერ აიტანა ფიზიკურად დაქანცულმა, ავადმყოფმა ანიტამ და იგი გზაში გარდაიცვალა.

ჯუზეპე გარიბალდის ძეგლი

ძეგლი გამოხატავს გმირ ქალს, რომელიც მიჰქრის უბელო ცხენით.

იქვეა ამართული გარიბალდის თანამებრძოლთა მცირე ძეგლები და სტატუები. ხალხმა მათი ხსოვნაც დიდი პატივისცემით შეინახა.

იტალიაში მრავალი ადგილია დაკავშირებული გარიბალდის სახელთან. მისდამი პატივისცემის დამადასტურებელია მრავალი ძეგლი და სტატუია, რაც გაფანტულია მთელს იტალიაში. იტალიელი პატრიოტები სიყვარულით უჩვენებენ სტუმრებს იმ ადგილებს, სადაც გარიბალდი და მისი რაზმელები იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. პატარა კუნძული კაპრერა, სადაც ბოლო ხანებში ცხოვრობდა და 1882 წელს გარდაიცვალა გარიბალდი, სამშობლოს მოსიყვარულე შვილებისათვის სათაყვანებელ ადგილად ითვლება.

გლადიატორების საბრძოლო ასპარეზი

ერთ-ერთი უდიდესი შენობა რომში არის სახელგანთქმული კოლიზეი. იგი მართლაც რომ გრანდიოზულია. თავდაპირველად მას რქმევია ამფითეატრი, შემდეგ კოლიზეი

ყვარჩელის ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის პიონერებმა განიზრახეს, პიონერული ორწლედის პერიოდში სკოლაში მოაწყონ დიდი გამოფენა — „ლენინი ბავშვებთან“ — და უკვე დაიწყეს მასალების შეგროვება.

პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის აღსანიშნავად მოსწავლეებმა დაიწყეს პიონერული ბაღის გაშენება, მათ უკვე 150 ძირი ხეხილი დარგეს.

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის პიონერებმა სასკოლო სპორტული მოედნის მოწყობით ისახელეს თავი და ახლა სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებს თავიანთი სკოლის ტერიტორიაზე ატარებენ.

არაქიანი შემოდგომა იდგა ახალციხის რაიონში. კოლმეურნეები მოსავლის აღებას ვერ აუდიოდნენ. აქაური პიონერები, რომლებმაც საკოლმეურნეო შრომაში აქტიური მონაწილეობით აიღეს პიონერული ორწლედის სტარტი, მხარში ამოუდგნენ უფროსებს და დაუზარებლად ეხმარებოდნენ მათ სიმინდის, კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღებაში.

მარტო ერთ დღეს სოფელ წნისის შვიდწლიანი სკოლის 17-მა მოსწავლემ მოტეხა და გაარჩია 1277 კგ. სიმინდი. შრომაში თავი ისახელეს მეშვიდეკლასელებმა: გივი ტყავაძემ, თამარ სუდაძემ, ნოდარ იჩქიტაძემ, მერი გიგილაძემ და სხვებმა.

ორწლედის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომში დღესაც გამოირჩევა თავისი გრანდიოზულობით სახელგანთქმული კოლიზეი.

კოლიზეი აშენებულია იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ტყვედ წამოყვანილი ებრაელების შრომით, ჩვენი წელთაღრიცხვის 72—80 წლებში. კოლიზეის აქვს ელიფსის ფორმა, მოცულობით—განი 156 მეტრი და სიგრძე—188 მეტრი. იგი ნაშენი იყო აგურისა და გრანიტისა, ტუფისა და მარმარილოსაგან.

გარედან კოლიზეის კედლები აღწევდა თითქმის 50 მეტრ სიმაღლეს და გაყოფილი იყო ოთხ სართულად. 76 შესასვლელით შედიოდნენ მასში მაყურებლები. იგი იტევდა სამოცი ათას მაყურებელს. ამაღლებულ ადგილზე გამოყოფილი იყო საგანგებო ადგილები იმპერატორისა, სენატორებისა, ქურუმებისა და მაღალი მოხელეებისათვის. პირველი იარუსი განკუთვნილი იყო სამხედრო პირებისა და მათი ოჯახებისათვის, მეორე — პატრიციებისათვის, მესამე— ქალებისათვის. მესამე იარუსის ზევით მოთავსებული იყო ქანდარა დაბალი ფენებისათვის. ყველაზე მაღლა განლაგებული იყო მეზღვაურთა გუნდი, რომელიც სიცხეში სპეციალური მოწყობილობის საშუალებით, ამ უზარმაზარ შენობას გადააფარებდა ხოლმე საფარველს, რათა მაყურებლები არ შეეწუხებინა მზეს.

კოლიზეი განკუთვნილი იყო გლადიატორების ურთიერთ შერკინებისათვის და გარეულ მხეცებთან ბრძოლისათვის. მის ცენტრში მოთავსებული იყო არენა 86 მეტრის სიგრძისა და 54 – განისა.

შუა საუკუნეებში კოლიზეი გადააქციეს ციხე-სიმაგრედ, შემდეგ ყაზარმებად. მეთოთხმეტე საუკუნეში კოლიზეიში აწყობდნენ ხარების ბრძოლას.

კოლიზეი განადგურდა რომზე ბარბაროსების თავდასხმების დროს, ხოლო მეთერთმეტე საუკუნეში ეს შენობა დიდად დააზიანეს ნორმანებმა. მნიშვნელოვანი ნგრევა ამ შენობისა გამოიწვია აგრეთვე გახშირებულმა მიწისძვრებმა. მაგრამ კოლიზეის ცუდად დაცვის მთავარი მიზეზი იყო არა მხოლოდ მტრების შესევები და მიწისძვრები, არამედ რომის პაპების მტაცებლობა, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ანგრევდნენ მას, როგორც საშენ მასალას ეკლესიებისა და სასახლეებისათვის. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან რაფაელმა, რომელიც გახდა რომის მთავარი არქიტექტორი, იშუამდგომლა პაპის წინაშე კოლიზეის დაცვის შესახებ.

მიუხედავად ნგრევისა და განადგურებისა, კოლიზეი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი მონუმენტობით. კოლიზეი განსაკუთრებით ეფექტურია ღამით, პროჟექტორების შუქზე. დავდიოდით ამ ნანგრევებს შორის და ვიგონებდით მის საშინელ წარსულს, იმ სისხლს, რომელიც მის კედლებში დაღვარეს დამონებულმა ადამიანებმა.

პროფესორი
მალვა რადიანი

ბილისის რკინიგზის მე-10 სკოლის ა. წერეთლის სახელობის მეორე რაზმეულის პიონერებმა პიონერული ორწლედის სტარტი შავი და ფერადი ლითონის ჯართის შეგროვებითა და კახეთის გზატკეცილის გამწვანებით დაიწყეს. იმ დღეს დარგეს ნერგები, შეაგროვეს ჯართი.

პიონერებმა შეფობა იკისრეს თბილისის მე-17 საბავშვო ბაღზე. აღსაზრდელებს აჩუქეს კურდღლები, მტრედები და წიწილები. ბაღის ტერიტორიაზე დარგეს მარადმწვანე ხეების ნერგები.

ოხუმის პიონერები აქტიურად ჩაებნენ პიონერულ ორწლედში. მათ გადაწყვიტეს შეაგროვონ 200 ტ. ჯართი, მონაწილეობას ღებულობენ სოხუმის სტადიონის მშენებლობაში.

რაზმეულებმა გადაწყვიტეს აქტიურად იმუშაონ თავიანთი სკოლების ეზოების გამწვანებაზე. გაახარებენ ოთახის ყვავილებს, ხეხილის ახალ ნერგებს. მე-4 საშ. სკოლის მოსწავლეებმა დაიწყეს პიონერული ბაღის მშენებლობა, უკვე დარგეს 50 ძირი მანდარინის ხე.

ორწლედის ქრონიკა



რ. ლეზგიშვილი

ნახ. თ. ხამხონაძისა

ზ ღ ა პ ა რ ი

ზაფხულის საამური საღამო იყო. მეწამული მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა, აღმოსავლეთით კი, თითქოს იმით დამორცხვებული, მზეს შუქი მოვპარეო, ფერმკრთალი მთვარე გამოჩნდა.

სიბნელე თანდათან ძალას იკრებდა და გარემოს ეუფლებოდა. უღრანი ტყის შუაგულში, მწვანე მდელოზე, მგელი, აფთარი, ფოცხვერი და მელა დამსხდარიყვნენ. ზვიადი ლომი მხართეძოზე წამოწოლილიყო. მათ გარშემო, ხის ტოტებზე შემსხდარიყვნენ ჭოტები, ბუები და შეკრებილთ დაჰყურებდნენ თავიანთი დიდრონი, ყვითელი თვალებით.

— ჩემო კეთილნო,—მიმართა შეკრებილთ ლომმა,— მე თქვენ შეგყარეთ ჩვენი საერთო, დიდი საქმის გამო. კარგად მოგეხსენებათ, გაზაფხულის თვეებში ღამე მეტად ხანმოკლეა, ხშირად ვერც კი ვასწრებთ ნადირობას. მერე და რატომ? იმიტომ რომ აი, ამ მთიდან მზე ამოვა, არემარეს გაანათებს და იძულებულს გვხდის ისევ მივიმალოთ. აი, მაგალითად, წუხელ ჩემს ნათლიას მინდორში მოზვრისათვის თვალი მოუკრავს, გაქანებულა, დასწევია კიდეც, მაგრამ შემდეგ, სწორედ ამ დროს, მზეს გადმოუფენია თავისი სხივები და ნათლია იძულებული გამხდარა კუდამოძუებული შემობრუნებულიყო ტყეში. შეშინებია, მონადირეებს არ დაენახათ.

თქვენც ხომ ხშირად მოგსვლიათ ასეთი უბედურება, ხშირად მშიერი რჩებით ამ ვერაგი მზის გადამკიდე!

— მართალია, მართალი!—ყოველი მხრიდან შესძახეს მხეცებმა ლომს.

— ჩვენც, ჩვენც მშივრებს გვტოვებს!—შესჩხავლეს ტოტებზე ღამის მტაცებელმა ფრინველებმა.

— ჰოდა, თუ ასეა, როდემდე უნდა ვითმინოთ მზის თავხედობა? — გადმოაბრიალა ლომმა თვალები. — რა ვქნათ, რომ მზემ აღარ შეგვაწუხოს?

მხეცები და ფრინველები დუმდნენ.

— არ იცით?—იკითხა ლომმა და უზარმაზარი თათი ჰაერში შოლტივით მოიქნია.

— არ ვიცით!—ამოიკვნესეს შეშინებულმა მხეცებმა.

— არც ჩვენ ვიცით,—დასძინეს ჭოტებმა და ბუებმა.

— მაშ, ყური მიგდეთ, — მედიდურად გადახედა ყველას ლომმა.—ხომ ხედავთ იმ მთას? ყოველ დილით მზე აი, იქიდან ამოდის. მაშ მოდით, იმ მთის წვერზე მაღალი კედელი აღვმართოთ, მზეს გზა გადავუღობოთ, საშუალება მოვუსპოთ გადმოაფრქვიოს დედამიწაზე თავისი სხივები. ხომ მიხვდით, რა უნდა გააკეთოთ?

— მივხვდით! მივხვდით!—შესძახეს ტყის მეფეს მტაცებლებმა.

— ძირს მზე! გაუმარჯოს ღამეს!—აღტაცებით შესძახეს მხეცებმა და უმალვე კედლის აშენებას შეუდგნენ.

საერთო საქმემ დააახლოვა მტაცებლები.

მოჰქონდათ მიწა, ქვა, ღორღი და მთის მწვერვალზე ყრიდნენ.

გაფაციცებით მუშაობდნენ ღამის მტაცებლები. მთის მწვერვალი სულ უფრო მაღლდებოდა, კედელი ცისკენ მიიწევდა.

— მაღლა, კიდევ უფრო მაღლა, მაღლა!—ბრდღვინავდა ლომი და მხეცებიც ძალას არ ზოგავდნენ.

— აჰა, ბოლო მოეღო მზის ბატონობას! ამიერიდან ვეღარ გადმოიხედავს!—ისმოდა მათი მხიარული ყიჟინა. და კვლავ მუშაობდნენ. უეცრად, წარმოუდგენელი რამ მოხდა: ცამ ფერი იცვალა, შეფერმკრთალდნენ ვარსკვლავები და თანდათან გაჰქრნენ კიდეც... სადღაც, ცის თაღიდან, ვარდისფერი სხივი გადმოეშვა.

— ეს რა არის? ნუთუ ისევ მზეა?!—კითხულობდნენ შეშფოთებული მხეცები და გაოგნებული იცქირებოდნენ ზევით.

— უფრო მაღლა აღმართეთ კედელი! მთა აამაღლეთ!—ღრიალებდა ლომი.

მაგრამ ყოველივე ამაო იყო, მზე თანდათან მაინც მაღლა იწევდა და იქაურობას სულ უფრო ანათებდა.

— სტაცეთ ხელი! რაღას უცქერით თქვენ ლაჩრებო! მხოლოდ ერთი ნაბიჯი და—ის ჩვენს ხელთ—იქნება!—კვლავ ღრიალებდა ლომი, მაგრამ მის ხმას ძალა დაჰკარგვოდა, თვითონაც დაღლილს, ენა გადმოეგდო და ძლივსღა სუნთქავდა.

გაბოროტებული მტაცებლები ელდანაცემებივით გაოცებული იდგნენ, ვერც მაღლა აეხედნათ, რადგან მზე თვალს სჭრიდა მათ, ვერც ძირს დაეხედნათ, რადგან იქ გააფთრებული ლომი ელოდათ.

მზე კი სულ ზევით, ზევით იწევდა! თითქოს დასცინაო, თავისი სხივები მოჰფინა ჯერ მთის წვერს და ახლადაღმართულ კედელს, მერე ძირს ჩაცურდა და მაცოცხლებელი სხივები დააყარა გარემოს; ალერსით, სიყვარულით გადმოხედა ქვეყნიერებას, გამოაცოცხლა ყვავილები, ბალახი, ტყე... ჩიტუნებმაც გაიღვიძეს, ახლადაღმართულ კედელს შემოუსხდნენ და საზეიმო საგალობელი უმღერეს თავიანთ სანატრელ, მუდამ საყვარელ მნათობს.



სლავომირ მროჟეკი
პოლონელი მწერალი

იუმორისტული მოთხრობა

ნახატები
თ. სამსონაძისა

ერთ პროვინციულ ზოოპარკს რამდენიმე მხეცი აკლდა, მათ შორის სპილოც. სცადეს, დანაკლისი კურდღლების მოშენებით შეევსოთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ბავშვებს სულ სპილო ეკერათ პირზე და ძილშიც მისი გრძელი ხორთუმი ელანდებოდათ.

და აი, ერთ დღეს, ზოოპარკში მოვიდა ცნობა, რომ სპილო მალე ადგილზე იქნებოდა. მაგრამ, ყველასაგან მოულოდნელად დირექტორმა უარი თქვა მის მიღებაზე.

„მე და ჩემი კოლექტივი,—სწერდა ის ვარშავაში,— ვალდებულებას ვიღებთ დავამზადოთ საჭირო მოცულობის სპილო, გავბეროთ ჰაერით და დავაყენოთ ზოოპარკში. სპილო ხომ ძნელად მოძრავი ცხოველია, არ დარბის და არ ფართხალებს. ნამდვილი სპილოსათვის განკუთვნილი თანხა კი შეიძლება გამოვიყენოთ სკოლებისა და ბაგების მშენებლობაზე“.

ჩანდა, დირექტორი, ამ უცნაური წინადადებით, კარიერასა და ჯილდოს უმიზნებდა.

ეტყობა, წერილი მოხვდა ასეთივე უგულო მოხელის ხელში, რომელიც ღრმად არ ჩასწვდა მის შინაარსს და სასწრაფოდ დაამტკიცა ეს გეგმა.

თანხმობის მიღებისთანავე დირექტორმა გააკეთებინა ძალზე დიდი რეზინის სპილო. ზოოპარკის ორ გუშაგს დილამდე უნდა გაებერათ იგი. ჩაიკეტნენ ისინიც ფარდულში და წინიდან და უკნიდან დაუწყეს ბერვა, მაგრამ რა: ლოყები მეზურნეებივით ებერებოდათ, სპილოს კი არაფერი ეტყობოდა...

უცებ, კედელში გამოყვანილი გაზის ონკანი შენიშნეს. შეუერთეს სპილოს და მალე მათ გასახარად ფარდულში უშველებელი ცხოველი იდგა: დაქანებული ტანით, სვეტების მსგავსი ფეხებით, პარტყუნა ყურებითა და განუყრელი ხორთუმით.

დილით ადრე სპილო გადაიტანეს მისთვის სპეციალურად მომზადებულ მოედანზე, მაიმუნების გალიების ახლოს. ბუნებრივი კლდის ფონზე იგი მრისხანედ გამოიყურებოდა. მის წინ მოთავსებული იყო დაფა წარწერით: „განსაკუთრებით მოუქნელია — სავსებით ვერ მოძრაობს“.

ყველაზე პირველი სტუმრები ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები იყვნენ. მასწავლებელს სურდა სპილოზე თვალსაჩინო გაკვეთილი ჩაეტარებინა, შეაჩერა მის წინ მთელი ჯგუფი და დაიწყო:

— სპილო ბალახის მჭამელი ცხოველია. ხორთუმის დახმარებით იგი გლეჯს ნორჩ ხეებს და აცლის მათ ფოთლებს.

მოსწავლეები ელოდნენ, რომ სპილო ამოგლეჯდა რომელიმე ხეს, მაგრამ იგი უძრავად იდგა.



— ...სპილო თავისი წარმოშობით გადაშენებულ მამონტებიდან მოდის. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იგი ყველაზე უდიდესია დღეს არსებულ ხმელეთის ცხოველთა შორის.

შედარებით ბეჯითი მოსწავლეები იწერდნენ.

ზოოპარკში ამოვარდა მსუბუქი ნიავი.

— ... მოზრდილი სპილოს წონა მერყეობს ოთხიდან ექვსი ათას კილოგრამამდე.

ამ დროს სპილო შეინძრა და ჰაერში აიწია. მცირე ხანს იგი მიწის ზედაპირზე ირწეოდა, მაგრამ ქარმა ზევით აიტაცა და მთელი მისი გამოსახულება მტრედისფერ ცის ფონზე გამოჩნდა. შემდეგ კიდევ მაღლა აიწია და ქვემოდან მოჩანდა გაჩაჩხული ფეხების ოთხი წრე, სქელი მუცელი და ხორთუმის წვერი. ქარმა ბოლოს იგი ჰორიზონტალურად წაიღო, გადააფრინა ღობეს და მიმალა ხეთა მაღალი კენწეროების მიღმა.

თავზარდაცემული მაიმუნები ცაში იცქირებოდნენ.

სპილო აპოვეს უახლოეს ბოტანიკურ ბაღში, სადაც იგი დაცემისას კაკტუსს დასტაკებოდა და გამსკდარიყო.

თარგმნა **ა. თაყაიშვილმა**



მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: აბა, ჯიმ, მითხარი, როგორ შეგიძლია შენ დაამტკიცო, რომ დედამიწა მრგვალია?

ჯ ი მ ი: მე არ მითქვამს სერ, რომ დედამიწა მრგვალია.

* * *

ტ ო მ ი: მამა, სასადილო ოთახში დიდი შავი კატაა.

მ ა მ ა: ეგ კარგი ნიშანია. შენ ხომ იცი,— შავ კატას ბედნიერება მოაქვს.

ტ ო მ ი: როგორ არა! მან შენი სადილი შეჭამა.

* * *

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ პატარა მოთხრობა ფეხბურთზე. ერთმა მოსწავლემ სწრაფად დაამთავრა წერა და რვეული მასწავლებელს მიაწოდა, მასწავლებელმა რვეული გადაშალა და წაიკითხა: «კოკისპირულად წვიმდა; თამაში არ შედგა».

* * *

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: ჯონ, რატომ დაიგვიანე?

ჯ ო ნ: იმიტომ, რომ გვიან გამოვედი სახლიდან.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: მერედა, რატომ არ გამოხვედი ადრე?

ჯ ო ნ ი: იმიტომ, რომ უკვე გვიან იყო ადრე გამოსვლა.

* * *

ინგა მაგიდასთან მისკუპულიყო და რვეულის ფურცელზე ფანქარს აწვალებდა.

— ინგა, რას აკეთებ?— შეეკითხა დედა.

— წერილს ვწერ მეგობარს.

— კი მაგრამ, შენ რომ წერა არ იცი!

— მერე რა, არც მან იცის კითხვა.

* * *

— მე ვიბან, შენ იბან, ის იბანს.— რომელ დროს ეკუთვნის ეს ზმნა?— შეეკითხა მასწავლებელი კლასს.

— კვირას, პატივცემულო მასწავლებელო.

რატომ ვამბობთ ასე.

ფული არ ყარს

ამ ამორალურ გამოთქმას ასეთი საფუძველი აქვს: ცნობილმა მილიონერმა როტშილდმა რუსეთის მეფეს—ნიკოლოზ მეორეს ფული ასესხა და დიდი სარგებელი აიღო. ამ ფულით ნიკოლოზ მეორე მუშათა მოძრაობას ახშობდა და ებრაელებს არბევდა, ე. წ. «პოგრომებს» აწყობდა. როტშილდი ებრაელი იყო და, როდესაც ეს ამბავი გაიგეს, უთხრეს: —შენს სამდიდრეს ებრაელების სისხლის სუნი უდისო. როტშილდმა უპასუხა: «ფული არ ყარსო»...

ზოგნი ამ გამოთქმას რომის იმპერატორ ვესპასიანეს მიაწერენ. ამ მბრძანებელმა რომში სახელი გაითქვა, როგორც დიდმა მფლანგველმა. სახელმწიფოს ხარჯების დასაფარად მან ფეხსადგილის გადასახადიც კი შემოიღო. შვილმა ტიტემ მამას უთხრა: ასეთი გადასახადი აბა რა საკადრისიაო? ვესპასიანეს გადასახადში აღებული ფული შვილისთვის ცხვირთან მიუტანია და უთქვამს: «ხომ არ ყარსო?»

ამ გამოთქმას ასეთი აზრი აქვს: ფულის საშოვნელად ყოველგვარი ხერხი დასაშვებია, ყოველგვარი საქციელი გამართლებულიაო.

ერუნდა

ბევრს ჰგონია, თითქოს ეს რუსული გამოთქმა იყოს. არა, იგი ლათინური სიტყვიდან, კერძოდ ზმნის ერთ-ერთი ფორმის სახელწოდებიდან—«გერუნდივიდან» არის წარმოშობილი. ზმნის ეს ფორმა მეტად ძნელი გასაგები ყოფილა მოსწავლეებისათვის და ამიტომ მისთვის სისულელე—«ერუნდა» უწოდებიათ.

ამ გამოთქმას ახლა საერთოდ სისულელის სინონიმად ხმარობენ.

რევანში

გერმანია-საფრანგეთის ომის დროს, 1703 წელს, ფრანგებმა დაამარცხეს გერმანელები ქალაქ შპეიერბახში. 1704 წელს გერმანელებმა სძლიეს ფრანგებს და მათი მარშალი ტალარიც ტყვედ წაიყვანეს.

როდესაც ფრანგი მარშალი გერმანელ სარდალს წაუდგა, გერმანელმა პრინცმა ჰესენკასელმა უთხრა მარშალს ფრანგულად:

— აჰ, ბატონო მარშალო, ეს შპეიერბახის რევანშია!

მას შემდეგ ეს გამოთქმა მთელ მსოფლიოს მოედო.

ახლა სიტყვა «რევანში» ძალზე ხშირად იხმარება განსაკუთრებით სპორტში; იგი სამაგიეროს გადახდას ნიშნავს.

ნახ. **თ. სამსონაძისა**

ირეკი მარეკი
ჩეხი მწერალი

იუმორისტული მოთხრობა

ერთხელ, დილით, სამყაროში ახალი რაღაც გამოჩნდა... მაგრამ სწორი არაა იმის თქმა, რომ ეს დილით იყო, რადგან სამყაროში ყოველთვის კოსმოსური ღამე მეფობს. მაშასადამე, უკეთესია, თუ ვიტყვით, რომ ერთ-ერთ ისეთ ღამეს, როცა პლანეტა დედამიწაზე დაახლოებით დილის ოთხი საათი იყო, ჰორიზონტზე გამოჩნდა ახალი რაღაც, რომელმაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. ეს „რაღაც“ მრგვალი იყო და პატარა. იგი მთვარესავით ბრუნავდა, მაგრამ მთვარე არ იყო. მას საკუთარი ორბიტა ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო ვარსკვლავთ ორბიტა. ერთი სიტყვით, ეს „რაღაც“ სრულებით თავისებურად იქცეოდა. ვარსკვლავები, რა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობით აციმციმდნენ, ხოლო რამდენიმე კომეტა დედამიწისაკენ გამოექანა, რომ ეს „რაღაც“ უფრო ახლოდან დაეთვალიერებინათ. „კოლეგა,—განაცხადა ერთმა მათგანმა,—ეს ახალი ვარსკვლავია. ერწმუნეთ ჩემს ნათქვამს, მე ასეთ რამეში გამოცდილი ვარ“.

— საინტერესოა, რა სიჩქარე უნდა ჰქონდეს, ან რა სიმაღლეზე დაფრენს? გავარვარებულია თუ ცივი?—კითხულობდნენ მეტეორები.

კომეტები მხრების აჩეჩვით პასუხობდნენ და კუდებს ისწორებდნენ. „ეს ჯერ არავინ არ იცის“,—თქვა ბოლოს ერთმა მათგანმა. მე ვფიქრობ, რომ ის გავარვარებულია, თავდაპირველად კი ცივი იყო. ის ხომ იონისფეროს ეხახუნება და ამის გამო ვარვარდება“.

— რას არ იტყვით!—ბუზღუნებდა მთვარე, რომელიც ახლადმოსულში არასასურველ კონკურენტს ხედავ-

და.— ეს რაღაც უბრალო ბირთვია და საჰაერო ბურთივით დაფრენს. ღირს კი მასზე ლაპარაკი?!

აქ ერთმა კომეტამ შეჰყვირა: „ქალებო, ყურადღება, ის სურათს იღებს“.

— ღმერთო კი მომკალი! ცოტა კუდი გამისწორეთ, თქვენ გენაცვალეთ, და ნუღარ გაინძრევით!

საკუთარი ბრწყინვალებით დაბრმავებული მზე თვალებს ჭუტავდა:

— თუ შეიძლება, ერთი კარგად შეათვალიერეთ, ლაქები ხომ არ არის მასზე?

— რისი ლაქები, ძვირფასო, ისეა გაკრიალებული, რომ... რაღაც ნემსებიცა აქვს...

— სამწუხაროა, მაგას რომ ლაქები ჰქონდა, ეგ ნეძლება ახალი მზე ყოფილიყო.—ნაღვლიანად თქვა დიდმა მზემ და კვლავ თავის პროტუბერანციებს მიუბრუნდა.

— მეგობრებო!—წამოიძახა რომელიღაც მეტეორიტმა,—მარსზე აურზაურია. იქ როგორღაც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თითქოს ეს ბურთი ვიღაცას დედამიწიდან გამოუშვია; ეს კი, მარსელების აზრით, იმას ნიშნავს, რომ დედამიწაზეც არის ხალხი!

— გინდა დამიჯერეთ და გინდა არა,—გაოცებით ამბობდა ახალგაზრდა მეტეორი, რომელიც ამ დროს სწორედ მარსის მხრიდან მოფრინავდა.—იქ, მათთან, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებია. ახლახან კოცონზე დასწვეს ერთი მარსელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მარსი სამყაროს ცენტრი არ არისო, რომ იგი მზის გარშემო ბრუნავს და იუპიტერზე ნაკლებიაო.

— ნუ გიკვირთ,—მარსი ხომ სამხედროა და ამიტომაც მეცნიერებისაკენ მიდრეკილება არა აქვს.

ერთი სიტყვით, დედამიწამ, ამ მრგვალი საგნის წყალობით, სამყაროში სენსაცია მოახდინა. სატურნი ბრაზით ივსებოდა: „რა უცნაურობაა?! მე, მაგალითად, გარშემო რგოლი მაქვს და ყოველგვარი საინტერესო ასტრონომიული მოვლენები მახასიათებს. ჩემს გარშემო ყინულისა და ქვის ნატეხები დაფრინავენ. ერთის ნაცვლად ცხრა მთვარე მაქვს და როგორ მოგწონთ?—მე ყურადღებას აღარავინ მაქცევს!

— მოწყალეო ხელმწიფევ!—გრგვინავდა იუპიტერი,—კეთილი ინებეთ და ნუ ტრაბახობთ. მე, თქვენ რომ იცოდეთ, თორმეტი მთვარე მახლავს, მაგრამ ყველა დედამიწას შეჰყურებს. სანაძლეოს დავდებ, რომ ამ მქროლავმა პრანჭიამ განგებ მოიგონა ეს ყველაფერი. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რის გაკეთება არ შეუძლია ქალს, რომ სამყაროს ყურადღება მიიპყროს. სილამაზით ეგ არა ბრწყინავს! რაღაც ერთი საწყალი მთვარე გააჩნია და ეგ არის. ჰოდა, ეგეც ადგა და ხელოვნური თანამგზავრი გაიკეთა. განა მჭირდება, მაგალითად, მე, თანამგზავრების გაკეთება, როცა თორმეტი ნამდვილი მთვარე მახლავს.

კომეტებმა, ამ ახალი საგნის ახლოს რომ გაიქროლეს, ერთხმად დაიწრიპინეს:

— გესმით? ის ლაპარაკობს, ის უსტვენს!

და მართლაც, მდუმარე, გაოცებულ კოსმოსურ სამყაროში სუსტი ხმა ისმოდა: პირველი საბჭოთა თანამგზავრი თავის სიგნალებს გადასცემდა. ისინი ბარტყის წივ-წივს მოგაგონებდათ, ბარტყისა, რომელიც ოდესმე არწივად იქცევა. დედამიწა უსმენდა მას და სიხარულით იღიმებოდა.

თარგმნა ა. ხაბელაშვილმა

რძის ხე

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ხარობს ხე, რომელიც რძის მსგავს წვენს იძლევა. ამ ჭრილ ნაწილიდან საათის განმავლობაში ხე ლიტრზე მეტ რძეს იძლევა. შედეგების შემდეგ ამ სითხეს სანთლის დასამზადებლად ხმარობენ.

საყურე—რადიომიმღები

ნახევარგამტარების გამოგონებამ და სხვა გაუმჯობესებებმა ინჟინრებს საშუალება მისცა საოცრად შეემცირებინათ რადიომიმღების მოცულობა. პირველად გაჩნდა პატარა რადიომიმღებები, რომლებიც ქამრის ბალთაში, ქუდში ან მაჯაზე საათის მსგავსად იყო მოთავსებული, მაგრამ ახლახან გამოიგონეს სავსებით მინიატურული რადიომიმღები—მას საყურეების ნაცვლად ატარებენ. დენის ბატარეა თვით რადიომიმღებშია მოთავსებული. ცხადია, ყურთან ძნელია რაიმე ანტენის გაკეთება, მაგრამ ეს არც არის იმდენად აუცილებელი, რადგან მიმღები ანტენის გარეშეც კარგად მუშაობს.

კრაზანებსაც უყვართ მუსიკა

ცნობილია, რომ მუსიკის ძალა ცხოველებზეც მოქმედებს. და არა მარტო ცხოველებზე, თვით მწერებზედაც კი. ამბობენ, რომ, როცა ბეთჰოვენი თავის მეშვიდე სიმფონიას ასრულებდა, ბუზი მოფრინდებოდა და ჭერზე იჯდა მანამ, სანამ კომპოზიტორი უკრავდა.

ამას წინათ, შავი ზღვის სანაპიროზე, ვინმე ვ. პევიშკისმა ასეთი რამ შენიშნა: როცა რადიოს მიმღებში კონცერტს გადმოსცემდნენ, კრაზანები მოფრინდებოდნენ ხოლმე და რადიომიმღების დინამიკზე სხდებოდნენ. ამ დროს ისინი არავის ერჩოდნენ. კონცერტის დამთავრებისთანავე, კრაზანები იქაურობას ტოვებდნენ.

რა ხნის არის სიმინდი?

ამის წინათ ამერიკის შტატ ნიუ-მექსიკაში აღმოაჩინეს სიმინდის ტარო, რომლის ასაკი 5.600 წლით განსაზღვრეს.

ფრთოსანი მეგაღეები

იყო დრო, როცა ჯავზის ხე, რომლიდანაც საუკეთესო ხარისხის ზეთსა და სხვა პროდუქტებს ამზადებენ, მხოლოდ ჰოლანდიის კოლონიებში ხარობდა. ჰოლანდიელი კოლონიზატორები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეს ძვირფასი ხე არ გავრცელებულიყო მათ კოლონიებს გარეთ.

ზღვაოსნობის განვითარების შემდეგ, ჰოლანდიელმა ვაჭრებმა ჯავზის ხეები შეამჩნიეს ისეთ კუნძულებზე, სადაც ისინი წინათ არავის ენახა. რაოდენ დიდი იყო მათი განცვიფრება, როცა აღმოჩნდა, რომ ამ „ბოროტებას“ ჩადიოდნენ მწვანე მტრედები: ამ ფრინველებს თურმე თავიანთი კუჭით გადაჰქონდათ ჯავზის თესლი სხვა კუნძულებზე.

არის მცენარეთა ისეთი ჯიშები, რომელთა თესლი არ გაღვივდება, თუ იგი წინასწარ ფრინველის კუჭში არ მოხვდა. და, აი, ჯავზის ხეც სწორედ ამ ჯიშებს ეკუთვნის.

უზარმაზარი ქანდაკება

ინდოეთში, ქალაქ მაისორიდან 60 კილომეტრზე, 983 წელს აგებული იქნა ბუდას უზარმაზარი ქანდაკება. მისი სიმაღლე 20 მეტრია. ეს, ერთი მთლიანი ქვისაგან გაკეთებული ყველაზე დიდი ქანდაკებაა მსოფლიოში. ამ სურათზე, რომელზედაც თქვენ ხედავთ ბუდას ქანდაკების ერთ ნაწილს და ადამიანის ფიგურას, კარგად ჩანს ქანდაკების გრანდიოზულობა.



ობობა ეხმარება ასტრონომებს

არსებობს ისეთი ტელესკოპები, რომელთა სათვალთვალო მილში უწვრილესი ძაფებია განლაგებული. ეს ძაფები საჭიროა ზოგიერთი სახის ზუსტი გაზომვებისათვის. ზოგჯერ ამ მიზნით ობობას ქსელსაც იყენებენ. ინგლისის ერთ-ერთ ოპტიკურ ქარხანაში სპეციალურად სწავლობდნენ საკითხს იმის შესახებ, თუ ობობას რომელ სახეობას შეუძლია მოგვცეს საუკეთესო „ასტრონომიული“ ძაფი. იქვე არსებობს ე. წ. „ობობების ფერმაც“, სადაც ხდება შერჩეული ობობების მოშენება.

სირაქლემა რძინას ყლაპავს

სირაქლემა მეტად გაუმაძღარი ფრინველია, რასაც კი მოიხელთებს, ყველაფერს ყლაპავს. ერთი მკვდარი სარაქლემას კუჭში ნახეს მოზრდილი კენში, 7 ლურსმანი, დიდი ქინძისთავი, კონვერტი, 13 სპილენძის ფული, 14 მძივი, 2 პატარა გასაღები, ცხვირსახოცის ნაჭერი, ვერცხლის მედალი და ლითონის პატარა ჯვარი.

სამხრეთ ამერიკის უდაბურ ადგილებში, სადაც რკინიგზა გაჰყავდათ, ხშირად ეკარგებოდათ ფოლადის ქანჩები და ბანჭიკები. გამოირკვა, რომ მათ იპარავდნენ სირაქლემები.



მონორელსი

ვპასუხობთ შეკითხვებზე

1961 წელს ამერიკაში განზრახული აქვთ გამოფენის მოწყობა დევიზით: „XXI საუკუნე“.

რას ნახავენ დამთვალიერებლები იქ?

გამოფენის მესვეურებს არ სურთ საიდუმლოს გამხელა, მაგრამ ერთი კი დღესაც ცხადია: დემონსტრირებული იქნება ერთრელსიანი კიდული ტრანსპორტი.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ტრანსპორტის იდეა ახალი არ არის. აი, უკვე ორმოცდაათი წელია, მონორელსიანი ტრანსპორტი მომსახურებას უწევს გერმანიის ერთ-ერთ ქალაქს. მაგრამ მომავალ საუკუნისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მისი გამოტანა თავისთავად მეტ-ყველებს ამ ტრანსპორტის დიდ მომავალზე. სპეციალისტები „მონორელსს“ მომავლის ყველაზე პრაქტიკულ ტრანსპორტად თვლიან. არ შეიძლება ამაში არ დავეთანხმოთ მათ.

ამ სახის ტრანსპორტისადმი ინტერესი ბოლო დროს დიდად გაიზარდა. უკანასკნელ წლებში ინგლისში, ავსტრალიაში, კანადაში, ერთი სიტყვით, ყველგან სცდიან „ჰაერის ტრანსპორტს“. ჩვენშიც ჰყავს ამ კარგ საქმეს ენთუზიასტები, ჩვენშიც არის რამდენიმე საინტერესო პროექტი...

ხომ დაკვირვებიხართ ელექტროძაბვის სვეტებს? აი, სწორედ ასე, რკინა-ბეტონის ეს-ტაკადა გადაკვეთს მდინარეებს, გადაევლება მთასა და ველს, ზედ კი მავთულების ნაცვლად ერთი მომსხო რელსი იქნება გადებული. ამ რელსზე დაკიდებული ვაგონი მშვენიერი შესახედაობისა იქნება, ლამაზი, მოხდენილი, ვერცხლისფრად მოლაპლაპე. ესაა და ეს! ასეთი იქნება ამ ტრანსპორტის გარეგნული სახე. ჰაერის ტრანსპორტს ელექტროდენი ან შიდა წვის ძრავა აამოძრავებს. რელსზე ხუთი ბორბალი იქნება მიდგმული: ერთი ქვემოდან, ორი—გვერდიდან და ორიც—ზემოდან, საყრდენი ბორბლები.

სად გაკეთდება ჩვენში პირველი მონორელსი?

ეს, ალბათ, ყარაგანდაში იქნება, სადაც ქარხანა ქალაქს თხუთმეტი კილომეტრით არის დაშორებული. ეზოში შესვლის შემდეგაც კი, ვიდრე თავის საამქროს მიაღწევდეს, მუშას კილომეტრების გავლა უხდება. მონორელსი კი პირდაპირ საწარმოსთან ჩამოგიგებს ხალხს. მოგზაურობა არა მარტო იაფი, არამედ სასიამოვნოც იქნება, რადგან მონორელსი სავსებით უხმაუროდ იმოძრავებს. ამასთან, მას დიდი გამტარუნარიანობაც ექნება—საათში ორმოც ათას კაცს გადაიყვანს.

მონორელსის სისწრაფე თვით მეტროს მგზავრებსაც კი შეშურდებათ. იგი საათში ას კილომეტრ სისწრაფეს განავითარებს.

მაგრამ ეს ციფრიც არ არის ზღვარი. მას სისწრაფეში ხმელეთის ვერც ერთი ტრანსპორტი ვერ შეედრება. მოსკოვში ახლა ფიქრობენ ქალაქი აეროდრომს სწორედ ამ ხერხით დაუკავშირონ. მაშინ 45 კილომეტრიან გზას მგზავრები სულ რაღაც 15 წუთში გაივლიან. შეიძლება ვინმეს დაებადოს კითხვა—სახიფათო ხომ არ იქნება ჰაერის ტრანსპორტით მგზავრობა?—არა. ამ გზით მგზავრობა სავსებით უხიფათო იქნებაო—პასუხობენ ინჟინრები.

შეიძლება კიდევ ბევრი გვეთქვა ამ გზის ღირსებაზე, მაგრამ სრულიად არ საჭიროებს ქებას—ის თავისთავად საჭირო გახადა ცხოვრებამ.

ენთუზიასტები იმასაც კი ფიქრობენ, რომ მონორელსი თვითმფრინავს შეაჯიბრონ. მართლაც, რა დაშავდება, თუ მოსკოვსა და შავი ზღვის სანაპიროებამდე მონორელსით იმოგზაურებს ხალხი. ასეთ გრძელ მაგისტრალებზე იგი 400 კილომეტრ სისწრაფეს განავითარებს, თვითმფრინავთან შედარებით კი ის უპირატესობა ექნება, რომ ყოველგვარ ამინდში იმოძრავებს.

სულ მალე ჰაერის გზა ჩვენს ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავი იქნება და, თქვენ რომ გაიზრდებით, გაგიკვირდებათ კიდევაც, სულ რაღაც 6 წლის წინათ მის ღირსებებზე რომ წერდნენ თქვენს ჟურნალში.

ერთხელ მეფე ერეკლეს ჯარი ლაშქრობის შემდეგ მთაში ტყიან ადგილზე იდგა. ღამით ცივი ამინდი დაიჭირა თურმე. სარდლებმა შებრძოლებს ბრძანება მისცეს ცეცხლის დასანთებად ტყიდან შეშა მოეტანათ. მეფე ერეკლე ამ დროს იქ არ იყო, ჩანდა, სადღაც გასულიყო. მცირე ხნის შემდეგ სარდლებმა დაინახეს, რომ მეფეს მებრძოლებთან ერთად შეშა მოეკონდა. მან შეშა სარდლებთან ახლო ადგილზე დაყარა და მიმართა: «მე ჩემი წილი შეშა მოვიტანე, თავადებისა და თქვენი კი რა მოგახსენოთო». სარდლებსა და თავადებს, რასაკვირველია, ძალიან შერცხვათ და ყველანი შეშის მოსატანად წავიდნენ.

* * *

ერთ გაზაფხულზე მეფე ერეკლე თავის ჯარით ტყეში ჩამომხტარიყო და ისვენებდა. მეფე ხის ქვეშ ნაბადზე იჯდა, მას აქეთ-იქით სარდლები უსხდნენ, თავზე კი შვიდი შეიარაღებული ხევსური ადგა.

ამ დროს სარდლები სხვადასხვა ამბებს ყვებოდნენ. მეფემ, თითქოსდა მოულოდნელად, ჩოხის კალთაზე დაიხედა და ნახა, რომ კალთა გარღვეული ჰქონდა.

ჯიბიდან პატარა, ლამაზი ბოხჩა ამოიღო. ზონარი მოხსნა. მეომრები გაკვირვებით თვალს ადევნებდნენ. ბოხჩაში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერი ძაფი, შიგ გარჭობილი ნემსები, პატარა მაკრატელი, პატარა კალმის საჭრელი დანა, წუმწუმა, ცალი კვესი, აბედი, პატარა საწერი ქაღალდი, ფანქარი, დარიჩინი, რევანდი გვარჯილა, შაქრის ყინული და სხვა. ყველა—ცოტაოდენი რაოდენობით. ყველა ეს აჩვენა და დაუმატა: „ესენი სულ უთუოდ ყოველ მებრძოლს უნდა ჰქონდეს, იცოდეს კიდეც მისი მოხმარება, რა ვიცით როდის და როგორ დაგვჭირდება. ამ ბოხჩაში სულ არის, რაც საჭიროა თითოეული მებრძოლისათვის. მე ესენი გამოცდილებითა მაქვს ნასწავლი და კიდეც დამჭირვებია. ბევრჯერ ტყეში დავრჩენილვარ დღე და ღამე, მანამდე მხედრობა მოკრეფილა“.

ამის შემდეგ ნემსზე ძაფი ააგო და თავის ჩოხის გარღვეული კალთა კარგად გამოკერა.

„ПИОНЕРЫ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.

№ 1 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85

სსსრ საბაჭოთა და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». ▌ რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85

უე 08021. ტირ. 29.000. პრ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$. ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 21/XII-60 წ. სტამბის შეკვ. 2102. გამომც. შეკვ. 724. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის



აბა გაიხსენეთ!

ჰორიზონტალურად განლაგებული 32 სტრიქონის უჯრედებში ჩაწერეთ გ. ტაბიძის ლექსების სათაურები ისე, რომ სიტყვებს შორის ცარიელი უჯრედი არ დაგრჩეთ.

შეადგინა **რ. გელაშვილმა**



თამხატეხი

გაჰყავით ეს ფიგურა სამ ნაწილად და დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ კვადრატი.

ა. ხასკინი



სცადეთ!

ოქვენს წინაშეა ასანთის ღერებისაგან შედგენილი ხუთი ტოლი კვადრატი. საჭიროა მოაკლოთ მას ასანთის სამი ღერო ისე, რომ დარჩეს სამი ტოლი კვადრატი. აბა, სცადეთ!

გ. გველესიანი

გამოცანა

მართალია, თვითონ იგი
წყალში იბადება,
მაგრამ წყლისა ეშინია,—
წყალში იკარგება.

შ. ამირანაშვილი

საფოსტო ნიშნების ახალი სერია

ფილატელისტების კოლექციას ბავშვთა ნახატი საფოსტო ნიშნების ახალი სერია შეემატა.

გასულ წელს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ჩატარდა საკავშირო კონკურსი,—„ჩვენ ვხატავთ საფოსტო ნიშნებს“, რომელიც საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, გაზეთ „პიონერსკაია პრავდამ“ და კოლექციონერთა მოსკოვის საქალაქო საბჭომ მოაწყეს.

კონკურსზე წარმოდგენილი 12.000 ნახატიდან 4-მა მიიღო პირველი პრემია; ეს ნახატები შემდეგ საფოსტო ნიშნებად დაიბეჭდა.

აი, ისინიც: 1. „ყველა ეროვნების ბავშვთა მეგობრობა“, ავტორი—14 წლის სვეტლანა კაზაკოვა; 2. „კოლმეურნეობაში“, ავტორი—11 წლის ლიდა ნოსოვა; 3. „ზამთრის დილა“, ავტორი—13 წლის ნინა სოკოლოვა; 4. „ზოოპარკში“, ავტორი—9 წლის დიმა ბარხინი.



გარეკანზე—„სკოლისაკენ“, ნახატი **რევაზ ცუცქირიძისა**